პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | №31 (11337) | პარასკევი, 6 თებერვალი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ, 5 თებერვალს, ჩვენი ქვეყნის გულში — მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ.

ყრილობამ დასახა ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დიდებული გეგმები. ყრილობის მუშაობაში გამოიხატა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ურყევი ნება განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, გამოიხატა მტკიცე სურვილი ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის შესანარჩუნებლად, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე 1959 წლის 5 თებერვალს

ამხანაგებო!

ჩვენი ყრილობა მუშაობას ამთავრებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების განხილვამ ყრილობაზე, ისევე როგორც ყრილობისათვის მზადების მსვლელობაში, ცხადყო, რომ მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებენ შვიდწლიან გეგმას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ იგი.

ყრილობაზე გამოვიდა 86 ამხანაგი. მათ შორის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ბევრი ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესანიშნავი მოწინავეები, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოღვაწეები.

ყველა გამოსული ამხანაგი სავსებით დაეთანხმა საკონტროლო ციფრებს, რომლებიც წარმოდგენილია ყრილობის განსახილველად. შვიდწლიანი გეგმა მათ მიაჩნიათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პარტიის ლენინური გენერალური ხაზის გამოხატულებად.

ჩვენი ყრილობის მუშაობა წარმოადგენს ჩვენი პარტიის მონოლითური დარაზმულობისა და ერთიანობის, პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა კომუნისტის მაღალი აქტივობის მკაფიო სურათს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას სრული საფუძველით უწოდებენ კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას, რომელიც მოასწავებს ჩვენი ქვეყნის შესვლას განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ყრილობამ ცხადყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიდი შემოქმედებითი ძალა, მათი ცოცხალი, განუყოფელი კავშირი ხალხის მასების პრაქტიკასთან, რომლებიც კომუნიზმის ნათელ შენობას აგებენ.

ყრილობაზე გამოსვლებში წამოყენებული იყო ბევრი კონკრეტული, ფრიად ძვირფასი წინადადება, რომელთა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ დაუშრეტელი რეზერვები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გეგმის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

როცა ყრილობაზე დელეგატების გამოსვლებს ვუსმენდი, მომაგონდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე, სადაც განიხილავდნენ პირველ სახალხო-სამეურნეო გეგმას — რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმას. ლენინი ამბობდა: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ ვხედავთ ძალიან დიდ გარდატეხას, რომელიც ყოველ შემთხვევაში მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების დიდ წარმატებათა დასაწყისს. სრულიად რუსეთის ყრილობათა ტრიბუნაზე ამიერიდან გამოჩნდებიან არა მარტო პოლიტიკოსები და ადმინისტრატორები, არამედ ინჟინრებიცა და აგრონომებიც. ეს არის უბედნიერესი ეპოქის დასაწყისი... სამეურნეო მშენებლობის საქმეზე ნამდვილად გადასვლისათვის საჭიროა ეს ჩვეულება დავიწყოთ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობიდან და გავატაროთ იგი თავიდან ბოლომდე ყველა საბჭოში და ორგანიზაციაში, ყველა გაზეთში, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ორგანოში, ყველა დაწესებულებაში... ყრილობები და თათბირები გადააქციეთ არა მიტინგობის ორგანოებად, არამედ სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოებად, ისეთ ორგანოებად, სადაც ჩვენ შეგვეძლება სამეურნეო მშენებლობის ნამდვილად სწავლა“ (თხზ., ტ. 31, გვ. 631-632).

პარტია აკეთებს იმას, რასაც დიდი ლენინი გვირჩევდა. ჩვენი ყრილობის მუშაობა გამსჭვალულია საქმიანობის, კონკრეტულობის, კომუნისტური მშენებლობის მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით. და შეხედეთ, რა ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამან ყრილობის მუშაობაზე, რა ნაყოფიერ გავლენას ახდენს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მილიონიანი მასების აქტივობის, მთელი პრაქტიკული საქმიანობის ზრდაზე.

ჩვენ სამეურნეო მშენებლობის უდიდესი გამოცდილება შევიძინეთ, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მკვეთრი მობრუნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობის ძირეული საკითხების გადაჭრისაკენ და ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს. შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისას ლენინის მითითებანი მთელი ჩვენი მუშაობის საქმიანობის, კონკრეტულობისა და მიზანსწრაფულობის შესახებ მოქმედების სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის თავიდან ბოლომდე, საბჭოთა საზოგადოების მშრომელთა ყოველი კოლექტივისათვის.

დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების, მეცნიერების, ინჟინრებისა და აგრონომების გამოსვლები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა შესანიშნავი გამოსვლები. ისინი ყველანი ლაპარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ კონკრეტულ და დიდმნიშვნელოვან ამოცანებზე.

აქ გამოვიდნენ დონეცის აუზის სახელგანთქმული მეშახტე ნიკოლოზ იაკობის-ძე მამაი, მოსკოვის სალტის ქარხნის ზეინკალი ალექსანდრა მიხეილის ასული რიბაკოვა, ლენინგრადის საადმირალოს ქარხნის ზეინკალი-მემანქანე ვლადიმერ ივანეს-ძე გორბუნოვი, ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მეფოლადე ნიკოლოზ ივანეს-ძე ანიშენკოვი, მინსკის საავტომობილო ქარხნის მუშა დიმიტრი ივანეს-ძე ბარაშკინი და ბევრი სხვა. რა საინტერესო, შინაარსიანი გამოსვლები იყო! ისინი გამსჭვალულია საქმის დიდი ცოდნით და პატრონის ზრუნვით წარმოების განვითარებისათვის არა მარტო თავიანთ ქარხანაში ან შახტში, არამედ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში.

ან აიღეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესანიშნავი მოწინავეების — ევგენია ალექსის ასულ დოლინიუკის, ალექსანდრე ვასილის-ძე გიტალოვის, პელაგია ნიკანდრეს ასულ კოვალიოვას, სერგი კუზმას-ძე ბოიკოს, ევგენია ივანეს ასულ ანდრეევას, ტერენტი სიმონის-ძე მალცევისა და სხვა ამხანაგების გამოსვლები. გვიამბეს რა თავიანთი კოლმეურნეობების მუშაობაზე, მათ დამაჯერებლად გვიჩვენეს, თუ რა წარმატებები შეგვიძლია მოვიპოვოთ საქმის უნარიანად წარმართვით, რა დიდი რეზერვები აქვთ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამ მაღალი ტრიბუნიდან ჩვენ მოვისმინეთ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების — აკადემიკოს იგორ ვასილის-ძე კურჩატოვის, აკადემიკოს მიხეილ ალექსის-ძე ლავრენტიევის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ნესმეიანოვის, უკრაინის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის კონშ იმანტაის-ძე სატპაევის, ცნობილი პოეტის ალექსანდრე ტრიფონის-ძე ტვარდოვსკისა და ჩვენი სახელოვანი შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების გამოსვლები.

ფრიად ღირსშესანიშნავია, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, განიხილავდნენ რა თავიანთ გამოსვლებში ყრილობაზე შვიდწლიანი გეგმის საკითხებს, ლაპარაკობდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღრმა ცოდნით და, მასების მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონკრეტულად უდგებოდნენ მომწიფებული ამოცანების გადაჭრას.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები — ყრილობაზე გამოსული ყველა ამხანაგი ღრმა რწმენით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ შვიდწლედის დავალებანი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული.

სასიხარულო და სასიამოვნო იყო ჩვენი პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან მოგვესმინა ძლიერი და რწმენით აღსავსე ხმა ადამიანებისა, რომლებიც შუაგულ ცხოვრებაში, ხალხის მასებში არიან, იმ ადამიანთა ხმა, რომლებიც იცნობენ და გამოხატავენ მილიონთა განწყობილებას, ფიქრებსა და გრძნობებს. ეს გამოსვლები ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის დიდ აღმავლობას, რომელმაც პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა განხორციელებას. ყოველივე ეს მოწმობს აგრეთვე იმას, თუ რამდენად გაიზარდნენ ჩვენი კადრები, რა მასშტაბებით აზროვნებენ საბჭოთა ადამიანები, რა ღრმად იცნობენ ისინი არა მარტო თავიანთ კონკრეტულ საქმეს, არამედ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასაც.

როგორც უკვე ვთქვი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდი წლის საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენების განხილვის მსვლელობაში გამოითქვა ბევრი მეტად საგულისხმო წინადადება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გაითვალისწინებენ სურვილებსა და წინადადებებს, რომლებიც გამოთქმული იყო ყრილობაზე გამოსვლებში. საჭიროა დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკურ და სხვა ადგილობრივ ორგანოებს ყურადღებით შეისწავლონ მშრომელთა მრავალი კონკრეტული წინადადება, გამოთქმული საკონტროლო ციფრების განხილვის მსვლელობაში, და მიიღონ ღონისძიებანი მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

თავის გამოსვლაში ყრილობის ზოგიერთი დელეგატი გმობდა ლოთობის მოვლენებს და აყენებდა საკითხს, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ, ბრძოლა შინაური არყის გამოხდის წინააღმდეგ. არყის გამომხდელები არა მარტო შაქარს, მარცვლეულსა და სხვა პროდუქტებს აფუჭებენ, არა მარტო სპეკულაციას ეწევიან, არამედ აგრეთვე ლოთობას აჩვევენ სუსტი ნების ადამიანებს, წამლავენ მათ ორგანიზმს, რადგან, შინაური არაყი შეიცავს ბევრ რახის ზეთს.

მე მიმაჩნია, რომ წინადადებანი ლოთობისა და შინაური არყის გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სწორია, და ყრილობამ მხარი დაუჭირა ამხანაგებს, რომლებმაც ეს წინადადებანი გამოთქვეს.

კარგი იქნება, თუ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ საკითხს, დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მაგარი სასმელების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად, არყის გამომხდელთა, ამ „ძატაცებელთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ ადამიანთა ჯანმრთელობას და ვნებენ საზოგადოებას.

ვფიქრობ, რომ რესპუბლიკებში უნდა მოამზადონ კანონთა პროექტები ამ საკითხზე და გამოიტანონ მშრომელთა განსახილველად. ამ პროექტების განხილვის შემდეგ უნდა მივიღოთ კანონები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მკაცრი ღონისძიებანი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტად იყენებს მაგარ სასმელებს და არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, და განსაკუთრებით იმათ წინააღმდეგ, ვინც შინაურ არაყს ხდის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვითეული რესპუბლიკის მშრომელები მოიწონებენ ლოთობისა და შინაური არყის გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებს.

ამხანაგებო! ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია ყრილობის მუშაობისადმი. ყველგან — საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში გაიმართა მიტინგები და კრებები, რომლებმაც ფართოდ განიხილეს ყრილობის მასალები. XXI ყრილობის სახელზე მოვიდა ათასობით წერილი, დეპეშა, რომლებიც შეიცავდნენ არა მარტო მისალმებებს, არამედ გვატყობინებდნენ XXI ყრილობისადმი მიძღვნილ კონკრეტულ საქმეებსაც. „პრავდაში“ იბეჭდება სია მშრომელთა კოლექტივებისა, რომლებმაც თავიანთი მისალმება გამოუგზავნეს პარტიის XXI ყრილობას და იკისრეს მაღალი ვალდებულებანი შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების შესახებ.

ნება მიბოძეთ ჩვენი ყრილობის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა კოლექტივსა და ცალკეულ ამხანაგებს, რომლებმაც მისალმება გამოუგზავნეს პარტიის XXI ყრილობას, და ახალი წარმატებანი ვუსურვო მათ შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში გაშლილ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ახლა კიდევ უფრო ფართო გაქანება ეძლევა და ახალი თვალსაჩინო შრომითი გამარჯვებებით დაგვირგვინდება.

აი კვლავ გამობრწყინდა მზე. ჩვენი ყრილობის დაწყებიდან ბოლომდე იგი თან სდევს ყრილობის მუშაობას.

ამხანაგებო! ჩვენს ყრილობას ესწრებიან საზღვარგარეთის 72 კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციები. ყრილობას მეგობრული წერილებით მიმართეს მოძმე პარტიებმა, რომელთა წარმომადგენლებიც პირადად ვერ მიესალმნენ ჩვენს ყრილობას.

მისასალმებელ სიტყვებსა და წერილებში მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა ჩვენს პარტიას, საბჭოთა კავშირს, ყველა ხალხს გულწრფელი მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობა გადასცეს თავიანთი ქვეყნების კომუნისტების, მუშათა კლასისა და მილიონობით მშრომელის სახელით. ამ მისალმებებში გაისმა იმ დიდი ნდობისა და გულწრფელი სიმპათიის აღმაფრთოვანებელი სიტყვები, რომლებითაც ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის მიმართ გამსჭვალული არიან სოციალისტური ქვეყნების ხალხები და მშრომელთა ფართო მასები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის მომხრენი.

ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე პარტიათა დელეგაციებმა გაგვიზიარეს სასიხარულო ცნობები იმ შესანიშნავ წარმატებათა შესახებ, რომლებსაც მათი ქვეყნების ხალხებმა მიაღწიეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

კაპიტალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა წარმომადგენელმა ამხანაგებმა აქ ილაპარაკეს იმ ძნელ გმირულ ბრძოლაზე, რომელსაც ამ ქვეყნების კომუნისტები ეწევიან მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

კომუნისტურ პარტიებში ტრადიციად იქცა გაცვლონ დელეგაციები პარტიული ყრილობების გამო. ჩვენ კვლავაც დავიცავთ ამ ტრადიციას, რომელიც კარგად ასახავს მოძმე პარტიების სოლიდარობისა და ურთიერთმხარდაჭერის სულისკვეთებას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას.

მოძმე პარტიების მისალმებანი, მათი წარმომადგენლების შეხვედრები ჩვენი ყრილობის დელეგატებთან, მოსკოვის მშრომელებთან მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის, ძალისა და შეკავშირების შესანიშნავი დემონსტრაცია იყო.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ყრილობისა და საბჭოთა ხალხის სახელით უადრესად გულწრფელი მადლობა გადაეუხადო მოძმე პარტიებს მისალმებისათვის, იმისათვის, რომ მეგობრულად უსურვეს წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ხალხებს.

ჩვენი მხრივ მხურვალედ ვუსურვებთ წარმატებებს ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიას მათს გმირულ ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ნება მიბოძეთ აგრეთვე მადლობა გადავუხადო საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პროფკავშირებსა და მშრომელებს მისალმებისათვის, რაც ჩვენი პარტიის ყრილობას გამოუგზავნეს.

ძვირფასო სტუმრებო — მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლნო! თქვენ ჩვენს ყრილობაზე მოხვედით დედამიწის ყველა კუთხიდან. გადაეცით თქვენი პარტიების წევრებს და თქვენი ქვეყნების მშრომელებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა ხალხი დიდად აფასებენ ამხანაგობის, მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობებს, რომლებიც გამოთქმულია ჩვენი ყრილობისადმი მისალმებებში.

ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ მუდამ განამტკიცებდნენ მეგობრობასა და პროლეტარულ სოლიდარობას მთელი მსოფლიოს მშრომელებთან და დემოკრატიულ ძალებთან, განამტკიცებდნენ მძლავრ სოციალისტურ ბანაკს, დაუცხრომლად იბრძოდნენ ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს თავიანთ უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ ამოცანად მიაჩნიათ ახალი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება მთლიანად და გადაჭარბებით.

ძვირფასო ამხანაგებო, შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტი და მშრომელი ძალღონეს არ დაიშურებს, რათა პირნათლად შეასრულოს ეს ისტორიული ამოცანა!

ამხანაგებო! პარტიის XXI ყრილობა სახავს მშვიდობიანი შემოქმედების დიდებულ გეგმებს. ყრილობის მუშაობაში გამოიხატა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ნება განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გეგმები, გამოიხატა სურვილი ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის შესანარჩუნებლად, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად. ეს არის ჩვენი ყრილობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი. „ცივი ომის“ მომხრენიც კი, ობიექტურად რომ აფასებდნენ მოვლენებს, დაინახავდნენ, რომ ამ გეგმის მიზანი, რომელსაც ჩვენი ყრილობა იღებს, არის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცება.

ამხანაგო დელეგატებო! ჩემთვის სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ ჩვენი საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ინდოეთში ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე, რომელსაც ინდოეთის მთავრობა აშენებს საბჭოთა კავშირის დახმარებით, მოგვახსენებენ დიდი საწარმოო გამარჯვების შესახებ. 1 თებერვალს გამოშვებულია პირველი კოქსი, ხოლო 3 თებერვალს მიღებულია პირველი თუჯი.

ეს დიდი მეტალურგიული ქარხანა შენდება საბჭოთა პროექტით და ჩვენი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქარხნის გარდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, ინდოეთში შენდება კიდევ ორი ქარხანა — ერთი ინგლისის ძალებით, მეორე — დასავლეთ გერმანიის ძალებით. თუმცა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ბჰილაიში დაიწყო ერთიერთნახევარი წლით უფრო გვიან, ვიდრე ქარხნებისა, რომლებსაც ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ფირმები აშენებენ, ინდოელ სპეციალისტებთან და მუშებთან მეგობრული ერთობლივი მუშაობის შედეგად, გადალახეს რა სერიოზული სიძნელეები, ჩვენმა ამხანაგებმა შეძლეს უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ინგლისელებმა და გერმანელებმა, დაემთავრებინათ მძლავრი თანამედროვე მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა და გამოუშვეს პირველი კოქსი და თუჯი.

დაე ამ ქარხნის პირველი თუჯი იყოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მზარდი მეგობრობის სიმბოლო.

დაე ამ ბრძოლის ცეცხლში დაიწვას ყველა ხრიკები იმპერიალისტებისა, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის შემდგომ განვითარებას, ჩვენს ერთობლივ ბრძოლას მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის. დაე ამ ბრძოლის სითბო ათბობდეს ჩვენი ორი დიდი და მშვიდობისმოყვარე ხალხის მეგობრობას.

დაე ჩვენი მეგობრობა იყოს მტკიცე, როგორც ლითონი, გამოდნობილი ამ ქარხანაში, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მთავრობებისა და ხალხების ერთობლივ ღონისძიებათა მეოხებით.

ჩვენ მივესალმებით ინდოელ ხალხსა და ინდოეთის მთავრობას პრემიერ-მინისტრ ბატონ ნერუს მეთაურობით დიდი საწარმოო გამარჯვების გამო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთის ინდუსტრიალიზაციისა და მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენთვის სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი პრასადი დაესწრო მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგის ამუშავებას და გამოთქვა კეთილი სურვილები საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის განმტკიცების შესახებ.

სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა სპეციალისტებსა და მუშებს, რომლებმაც ინდოელ სპეციალისტებთან და მუშებთან ერთად ასეთ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს და ძვირფასი წვლილი შეიტანეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობაში.

ეს საწარმოო გამარჯვება ჩვენ მიგვაჩნია ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის სისწორის მკაფიო დადასტურებად, მაგალითად საბჭოთა კავშირის უანგარო ეკონომიური თანამშრომლობისა ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

ყველა ქვეყანაში უდიდესი ინტერესით განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობის მსვლელობას. უნდა ვთქვათ, რომ ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის პრესა, როგორც წესი, საკმაოდ ობიექტურად აშუქებს ყრილობის მუშაობას. ეს დადებითი მოვლენაა, იმიტომ რომ მოვლენათა ობიექტური ასახვა პრესის ფურცლებზე ხელს უწყობს არა ატმოსფეროს გამძაფრებას, არამედ დაძაბულობის შენელებას, ქმნის პირობებს იმისათვის, რომ დაჩქარდეს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა მშვიდობის სასარგებლოდ.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მეტ წილ ქვეყნებში სწორად გაიგეს ჩვენი გეგმის მშვიდობიანი მისწრაფებანი. ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ შემდგომშიც თანმიმდევრულად განვახორციელებთ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება.

მაგრამ დასავლეთში ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთი მოღვაწენი, რომლებიც ამახინჯებენ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ილაშქრებენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ შევეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს, გამოვთქვა ჩვენი ურყევი რწმენა, რომ საჭიროა მტკიცედ დავიცვათ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

მშვიდობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემები — ეს საკითხთა საკითხია, რადგან ყოველი ქვეყნის ხალხი, როგორი სოციალური სისტემაც უნდა არსებობდეს იქ, ზრუნავს იმისათვის, რომ კარგად იცხოვროს, მშვიდობიანად იშრომოს, შექმნას ცხოვრების უკეთესი პირობები.

ჩვენ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ სახელმწიფოთა სოციალური წყობილების მიუხედავად ხალხებმა უნდა იცხოვრონ მშვიდობით, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით და არა ომის გზით.

ახლა მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა. არიან ქვეყნები, რომლებიც შედიან მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში, და არიან ქვეყნები, რომლებიც შედიან მსოფლიო იმპერიალისტურ სისტემაში. მაგრამ არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც არ არიან სოციალისტური, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ იმპერიალისტური სისტემის ქვეყნებსაც. ამ ქვეყნებს, რომლებმაც განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა, სურთ იარონ თავიანთი გზით, გვერდი აუარონ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას, რათა, ბოლო მოუღეს რა კოლონიურ ჩაგვრას, დაიწყონ საზოგადოების მშენებლობა სხვა საწყისებზე.

ამ ქვეყნების ბევრი მოღვაწე ამბობს, რომ მათ სურთ ააშენონ სოციალიზმი. მართალია, ისინი გაჭირვებით წარმოთქვამენ სიტყვა „კომუნიზმს“ და ყოველთვის ნათელი როდია, თუ რას ნიშნავს მათი წარმოდგენით სოციალიზმი, მაგრამ, უეჭველია, რომ ეს მოღვაწეები კეთილმოსურნეობით ეკიდებიან სოციალისტურ ქვეყნებს, არ მიაჩნიათ ისინი თავიანთ ანტაგონისტებად, არ მიაჩნიათ სოციალისტური ქვეყნები თავიანთ იმ მისწრაფებათა მოწინააღმდეგეებად, რომ ააშენონ ახალი ცხოვრება უიმპერიალისტებოდ, ისე, რომ არ იყოს კოლონიური ჩაგვრა. ამიტომ სოციალისტურ ქვეყნებს ასეთ სახელმწიფოებთან აქვთ კარგი მეგობრული ურთიერთობა, ვითარდება ნორმალური ეკონომიური კავშირი. ჩვენ ერთად გამოვდივართ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, იმპერიალისტთა კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

და აი, თუ ავიღებთ ქვეყნებს, რომლებიც შედიან მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში, და ქვეყნებს, რომლებიც ეწევიან მამაცურ ბრძოლას იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ძალების უპირატესობა უკვე ახლა ამ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მხარეზეა და არა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარეზე. ტერიტორიითაც, მოსახლეობის რიცხვითაც, ბუნებრივი სიმდიდრეებითაც მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს უპირატესობა აქვთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან შედარებით.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მსოფლიოში ძალების თანამედროვე განლაგების ანალიზიდან, ის არის, რომ მეტი წილი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ წარმოადგენდნენ იმპერიალიზმის რეზერვებსა და ზურგს, აღარ არიან ასეთები. ხა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე 1959 წლის 5 თებერვალს

(გაგრძელება)

ლხთა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ეს ქვეყნები გადაიქცნენ მშვიდობის აქტიურ ძალებად, ისინი იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იბრძვიან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ამას გარდა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები: მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მთელი ძალებით ისწრაფვიან შეინარჩუნონ მშვიდობა და იბრძვიან თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ისინი მოწონებით ეკიდებიან სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. კაპიტალისტურ ქვეყნებში, გარდა კომუნისტური პარტიებისა, არიან აგრეთვე სოციალისტური და მუშათა პარტიები, რომლებსაც მიჰყვება მუშებისა და გლეხების ნაწილი. და თუმცა ამ პარტიების პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებანი განსხვავდება მარქსისტულ-ლენინური პარტიების შეხედულებებისაგან, ამ პარტიების წევრთა უმრავლესობა მშვიდობის მომხრეა. ამ საკითხებშიც ჩვენი ღონისძიებანი შეიძლება გაერთიანდეს. მაშასადამე, იმპერიალისტებს არ შეიძლება ჰქონდეთ დასაყრდენი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო მასებში, რომლებიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. შვიდწლიანი გეგმის განხორციელება უდიდეს როლს შეასრულებს თანამედროვეობის ძირეული პრობლემის გადაჭრაში — საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებაში.

ჩვენ გვსურს შევეჯიბროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს მშვიდობიან ასპარეზზე, შევეჯიბროთ საწარმოო ძალების განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის განვითარებაში, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ გვსურს, რომ ყოველმა წყობილებამ შეჯიბრების მსვლელობაში ცხადყოს თავისი ეკონომიური და სულიერი ძალები. კომერციული ენით რომ ვილაპარაკოთ, რომელიც ალბათ უფრო გასაგებია კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებისათვის, მოდით დავალაგოთ ჩვენი „საქონელი“: სოციალისტურმა სამყაროს — თავისი, კაპიტალისტურმა — თავისი. და დაე თვითეულმა წყობილებამ აჩვენოს, სად და რამდენ საათს გრძელდება სამუშაო დღე, რამდენ მატერიალურ და სულიერ სიკეთეს იღებს მშრომელი ადამიანი, როგორი აქვს ბინა, რა შესაძლებლობა აქვს განათლებისათვის, რა მონაწილეობას იღებს თავისი ქვეყნის სახელმწიფო საქმეებში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვინ არის ყველა მატერიალური და კულტურული სიმდიდრის ბატონ-პატრონი, ის, ვინც შრომობს, თუ ის, ვინც არ შრომობს, მაგრამ კაპიტალები აქვს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ხალხს მეტ მატერიალურ სიკეთეს აძლევს, ის წყობილება, რომელიც ხალხს ანიჭებს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს სულიერი ზრდისათვის, ასეთი წყობილება არის პროგრესული, მას ეკუთვნის მომავალი.

ხოლო ვინ იქნება მსაჯული, ვინ განსაზღვრავს, რომელი საზოგადოებრივი წყობილებაა უკეთესი და უფრო პროგრესული? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ მსაჯულად იყოს კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგები. არ შეიძლება აგრეთვე მოველოდეთ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები დათანხმდებიან, რომ მსაჯულები ვიყოთ ჩვენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთნიც და მეორენიც თავიანთ პოზიციებზე დარჩებიან. მაშ ვინღა იქნება მსაჯული? მსაჯული იქნებიან ხალხები, ისინი გადაწყვეტენ, რომელი წყობილება უკეთესია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხები მოახდენენ სწორ არჩევანს, ამასთან ამ არჩევანს მოახდენენ ისე, რომ არ გაჩაღდეს ომი სახელმწიფოთა შორის, არ იქნას გამოყენებული წყალბადისა და ატომური ბომბები.

კაპიტალისტურ სამყაროში ფართოდ განვითარებულია კონკურენცია. როცა ორი კონკურენტი ერთმანეთს ებრძვის მყიდველისათვის და მყიდველი ბოლოს მიდის ერთ-ერთ მათგანთან, იმასთან, ვინც უფრო იაფად და უკეთესი ხარისხის საქონელს სთავაზობს, მეორე კონკურენტი ხომ არ კვდება, მას ხომ არ ართმევენ სიცოცხლეს, ფიზიკურად არ სპობენ.

ჩვენ მივმართავთ კაპიტალისტურ ქვეყნებს: მოდით ვიმოქმედოთ ამ, თქვენთვის გასაგები საშუალებით. თქვენ არა გსურთ ორი სისტემის ქვეყნების ურთიერთობას უწოდოთ მშვიდობიანი შეჯიბრება. თქვენ უფრო მოგწონთ სიტყვა კონკურენცია. ინებეთ, ჩვენ თანახმა ვართ. მაგრამ რა ტერმინიც უნდა ავიჩიოთ—შეჯიბრება თუ კონკურენცია, — ერთსა და მეორე შემთხვევაშიც წინადადებას ვიძლევით საკითხები გადაჭრათ ისე, რომ ზარბაზნებმა არ გაგრიალონ, არ გამოვიყენოთ წყალბადისა და ატომური იარაღი, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ადამიანთა ჟლეტის სხვა საშუალებანი, უმორად, კაცობრიობის მიერ დაგროვებული სიმდიდრის მოუსპობლად.

მივცეთ ხალხებს შესაძლებლობა თვითონ აირჩიონ ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც უფრო შეეფერება მათს ინტერესებს. ბურჟუაზიული მოღვაწეები ხშირად უკეთებენ რეკლამას კაპიტალისტურ წყობილებას. მაგრამ მათ არა სურთ დაადგნენ სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზას, არა სურთ მისცენ ხალხებს ნება თვითონ აირჩიონ საზოგადოებრივი წყობილება. ეს იმას მოწმობს, რომ ისინი არ ენდობიან თავიანთი ქვეყნის ხალხს, ეშინიათ ხალხისა, იმედს ვერ დაამყარებენ თავიანთ ხალხზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი სამყაროს ზოგიერთი წარმომადგენელი საუბარში გამოთქვამდა სურვილს, რომ გამოსვლებში არ ვიხმაროთ სიტყვა „ბრძოლა“, არამედ ვილაპარაკოთ შეჯიბრებაზე ან კონკურენციაზე. ურთიერთობა რომ არ გავამწვავოთ, თანახმა ვართ ვთქვათ „შეჯიბრება“ ან თუნდაც „კონკურენცია“, მზად ვართ, ამრიგად, დავთმოთ და ვიხმაროთ სიტყვები, რომლებსაც ჩვენი ოპონენტების სმენა მიეჩვია.

მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სიტყვები, ტერმინოლოგია როდია. აღიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის, ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის, სახელმწიფო მდივნის ფ. დალესის, სენატორ ჰემფრის და სხვების უკანასკნელი გამოსვლები. მათს გამოსვლებში გაისმის მოწოდება რაღაც ყურადღების დაძაბვისადმი, ნასროლია ეკვის კენჭი, იგრძნობა დაბრუნება ძველი აგრესიული ტერმინოლოგიისაკენ, იმგვარი მტკიცებისაკენ, როგორიც დაუშვა ბ-ნმა დალესმა პრეს-კონფერენციაზე 27 იანვარს. სრულიად უსაფუძვლოდ მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს აპირებდეს განაგრძოს „ცივი ომი“, რომ, მოითხოვს რა ნორმალური ვაჭრობის განვითარებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, საბჭოთა კავშირი ნამდვილად ფიქრობს იმაზე, რომ თავისთვის და საერთაშორისო კომუნიზმისათვის შექმნას უფრო ხელსაყრელი პირობები „ცივ ომში“ კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს სურთ არარად აქციონ ერთგვარი გაუმჯობესება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, რაც ამ ბოლო დროს მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში **კარგი მიღება გაუმართეს ა. ი. მიქოიანს.** მათ სურთ, რომ კვლავ დაიკავოს თავისი ადგილი „ცივმა ომმა“, სურთ შეინარჩუნონ ჩვენს ქვეყნებს შორის გამწვავებული ურთიერთობა.

ხოლო რას ამბობენ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეები? როგორც ჩანს, შრომის განაწილების წესით, ისინი კიდევ უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ ბომბდამშენებზე, წყალბადისა და ატომურ ბომბებზე, იმაზე, თუ რამდენ საათში ან დღეში შეუძლიათ მათ დაანგრიონ უმნიშვნელოვანესი ობიექტები საბჭოთა კავშირში, მიაყენონ მას გამანადგურებელი დარტყმა და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაზე უგუნური და უზომოდ აგრესიული ამერიკელი გენერლები ლაპარაკობენ ნამდვილი ომის მომზადებაზე, ადამიანთა გაჟლეტაზე, მატერიალურ ფასეულობათა მოსპობაზე.

ამასთან ამერიკელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად აცხადებენ, რომ შეერთებულ შტატებს აქვთ უფრო ხელსაყრელი სამხედრო პირობები, ვიდრე საბჭოთა კავშირს, იმიტომ რომ ევროპისა და აზიის ქვეყნების ტერიტორიაზე მათ განკარგულებაშია მთელი ქსელი სამხედრო ბაზებისა, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ იმისათვის, რომ დაარტყან ჩვენს ქვეყანას, ხოლო საბჭოთა კავშირს, მათი სიტყვით, ჯერ კიდევ ცოტა აქვს საკონტინენტთაშორისო რაკეტები. ამიტომ ომი არ წარმოადგენს ისე დიდ საფრთხეს შეერთებული შტატებისათვისო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკელროიმ ამ დღეებში განაცხადა, რომ შეერთებული შტატები საომარ მოქმედებას აწარმოებენ თავიანთი მოკავშირეების ტერიტორიიდან, რომელიც სსრ კავშირის საზღვრების ახლოს არის, ხოლო საბჭოთა კავშირმა უნდა იქონიოს მხოლოდ რაკეტების იმედი, რომლებიც მას შეუძლია გაუშვას თავისი ტერიტორიიდანო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისელებმა, ფრანგებმა, გერმანელებმა, თურქებმა, ბერძნებმა, იტალიელებმა, სხვა ქვეყნების ხალხებმა, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის სამხედრო ბაზები, ყურადღება მიაქციეს იმას, თუ რას უქადის მათ ასეთი პერსპექტივა.

როცა სტრატეგიული გეგმები შენდება ყალბ საფუძველზე, ამას შეიძლება მოჰყვეს შეცდომები საბედისწერო შედეგებით მშვიდობის საქმისათვის. თუ რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, თითქოს ამ მომენტში მოწინააღმდეგეს არა აქვს იარაღი, რომლითაც შეუძლია დაარტყას მის ტერიტორიას, იგი შეიძლება აჰყვეს ცთუნებას, რომ გამოიყენოს ეს მოხერხებული მომენტი, რათა გააჩაღოს ომი. თუ ზოგიერთ ამერიკელ მოღვაწეს მიაჩნია, თითქოს ამჟამად მათი ტერიტორია უვნებადია, ისინი შეიძლება მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დადგა მოხერხებული მომენტი, რათა გააჩაღონ ომი, და ეს ომი აწარმოონ ინგლისელთა, ფრანგთა, იტალიელთა, გერმანელთა, თურქთა და თავიანთ სხვა მოკავშირეთა სისხლის და სიცოცხლის ფასად, რომელთა ტერიტორია, ომის შემთხვევაში, გაჩანაგდება საშუალო და ახლო მოქმედების რადიუსის რაკეტებით. ხოლო თვით შეერთებული შტატები, ასეთი ფრიად გონებაშეზღუდული სამხედრო „სტრატეგების“ აზრით, შეძლებენ თავიდან ააცილონ ნგრევა თავიანთ ქვეყანას.

ამერიკელი მოღვაწეების მზადყოფნა გასწირონ თავიანთი მოკავშირეები, კაცობრიობის ბედის უგულებელყოფა თავიანთი ვიწრო ინტერესებისათვის — ეს არის კომერციული მიდგომა, ეს არის სისხლით მოვაჭრეთა პოლიტიკა, რომლებიც გამდიდრებისათვის მზად არიან გაჰყიდონ არა მარტო თავიანთი მეგობრები, არამედ მშობელი მამაც.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი პოლიტიკა უცხოა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსათვის, უცხოა მუშათა კლასისათვის, უცხოა ადამიანებისათვის, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე დგანან. ჩვენ გულმოდგინედ ვიბრძვით ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და მისი გამოცდის შეწყვეტისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთმისაღებ შეთანხმებათა მიღწევისათვის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე. ჩვენ ვიბრძვით მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, იმიტომ რომ ვაფასებთ ადამიანს განურჩევლად ეროვნებისა, კანის ფერისა ან სარწმუნოებისა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დანაშაულია ზოგიერთი ადამიანის უბედურებასა და ტანჯვაზე შენდებოდეს სხვების კეთილდღეობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება უდიდეს უბედურებას ვუსურვებდეთ ზოგიერთ ხალხს, მორეულს თუ ახლობელს, რათა ამ გზით, და ამასთან უსაფუძვლოდ, ვცდილობდეთ შევუქმნათ კეთილდღეობა სხვა ხალხებს.

ამერიკელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები რომ ხელმძღვანელობდნენ ზოგადსაკაცობრიო მოსაზრებებით და არა ეგოისტური ვარაუდით, ეს სარგებლობას მოუტანდა არა მარტო ამერიკელ ხალხს, არამედ სარგებლობას მოუტანდა მსოფლიოს ყველა ხალხს.

ვფიქრობ, რომ დროა ამერიკელმა სტრატეგებმა შეწყვიტონ თავიანთი ვარაუდების დამყარება იმ ილუზიებზე, თითქოს სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში შეერთებული შტატების ტერიტორია უვნებადი დარჩება. ეს დიდი ხანია უკვე არ შეესაბამება სინამდვილეს, არამედ არის მხოლოდ ამერიკელი გენერლებისათვის სასურველი წარმოდგენა. სინამდვილეში საბჭოთა კავშირს ამჟამად აქვს საშუალებები, რათა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს აგრესორს დედამიწის ყოველ პუნქტში. ჩვენ ხომ ლამაზი სიტყვისათვის არ ვამბობთ იმას, რომ მოწყობილი გვაქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების სერიული წარმოება. და ვამბობთ ამას არა იმისათვის, რომ ვინმეს დავემუქროთ, არამედ იმისათვის, რომ გარკვეულობა შევიტანოთ საქმის ნამდვილ მდგომარეობაში.

ჩვენი შვიდწლიანი გეგმა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა. ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, და მტკიცედ და თანმიმდევრულად ვიბრძვით მისთვის. მშვიდობას ესწრაფვის ჩვენი პლანეტის ყველა ხალხი. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ასეთი ღრმა პატივისცემით და მხარდაჭერით სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

ამხანაგებო! საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ახლო წარსულში საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის მოხდა საკმაოდ მწვავე წერილების გაცვლა. ეს იმით აიხსნება, რომ საქმე ეხებოდა საერთაშორისო ვითარების მეტად მწვავე პრობლემებს. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოქმედება შეშფოთებას იწვევდა მშვიდობისმოყვარე ხალხებში, და ჩვენ არ შეგვეძლო არ გამოგვეთქვა ჩვენი დამოკიდებულება ამ მოქმედებისადმი.

ახლა ეს ამბები უკან დარჩა. ჩვენ წინ უნდა ვიხედებოდეთ. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველივე შესაძლებელს აკეთებს იმისათვის, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და გაუმჯობესდეს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ჩვენ გვწამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, თუ მათ ნამდვილად სურთ მშვიდობა, როგორც **ამაზე ლაპარაკობდნენ ა. ი. მიქოიანთან საუბარში,** ცნობენ, რომ საჭიროა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და ამის საფუძველზე აიშენებენ თავიანთ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

სახელმწიფოთა შორის ურთიერგაგების გაუმჯობესებისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის დიდმნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ვაჭრობის, კულტურული ურთიერთობის გაფართოებამ, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა პირადმა კონტაქტებმა.

ყველას ახსოვს, თუ რა ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება ჰქონდა მთელ მსოფლიოში ოთხი სახელმწიფოს სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრას ჟენევაში 1955 წლის ზაფხულში. მშვიდობისმოყვარე ადამიანებმა ეს მიიჩნიეს სერიოზულ ნაბიჯად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

შეხვედრებმა და საუბრებმა, რომლებიც ჟენევაში გვქონდა, კარგი მოგონება დატოვა ბ-ნ ეიზენჰაუერის შესახებ. მე შემექმნა აზრი, რომ თუმცა ბ-ნი ეიზენჰაუერი გენერალია, მაგრამ იგი არ ეკუთვნის იმ სამხედრო პირებს, რომლებიც სადავო საკითხების გადაჭრისას ენდობიან მხოლოდ ზარბაზნებს და სურთ ყველა პრობლემა გადაჭრან იარაღის ძალით. მას არაერთხელ განუცხადებია, რომ ესწრაფვის იმას, რომ არ დაუშვას ომი. ჩვენ ამას ვაფასებთ და იმედი გვაქვს, რომ მისი განცხადებანი გამოხატულებას ჰპოვებენ კონკრეტული საქმეებით.

ამხანაგ მიქოიანის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძველს გვაძლევდა გვქონოდა იმედი, რომ დადგებოდა შემდგომი „დათბობა“ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. განვითარდებოდა კონტაქტები და ურთიერთობა. კაცმა რომ თქვას, ამხ. მიქოიანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად გამოიყენა თავისი შვებულება, რომელიც დასასვენებლად უნდა გამოეყენებინა. მაგრამ იგი გადაკვრით გვეუბნება, რომ მაინც მივცეთ საშუალება დაისვენოს საბჭოთა კავშირში. ამ მოგზაურობამ რამდენადმე შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ტემპერატურის აწევას მინუსიდან ნოლისაკენ და ზევით; ამაღლება დაიწყო იმ მიმართულებით, რომ მიეღწია ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროა ორგანიზმის ნორმალური არსებობისათვის. როგორც ჩანს, ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს ეს არ მოსწონს და ამიტომ ცდილობენ შეამცირონ დადებითი გავლენა, რომელიც ამხანაგ მიქოიანის მოგზაურობამ მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრზე.

ნაცვლად იმისა, რომ კვლავაც განვავითაროთ ასეთი კონტაქტები, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ სხვა მხრისაკენ აკეთებენ შებრუნებას. პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 28 იანვარს გაიმართა, ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ჩემი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ა. ი. მიქოიანის მოგზაურობის ანალოგიურად, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არაორჭოფულად თქვა, ეს გამორიცხულიაო. მან განაცხადა: „ეს არ შეიძლება მოხდეს არაოფიციალური წესით, როგორც ბ-ნმა მიქოიანმა გააკეთა“. გამოდის, რომ მისთვის ერთი საზომია, ჩემთვის მეორე.

აი მართლაც სრულიად მოულოდნელი დასკვნა. გამოდის დისკრიმინაციის მაგვარი რამ. ერთს შეუძლია ისარგებლოს უფლებებით, რომლებიც საერთოა ყველასათვის, მეორეს კი ასეთ უფლებებს ართმევენ.

დაე სწორად გამიგონ. მე სრულიადაც არ ვაპირებ ვითხოვო ვიზა ასეთი მოგზაურობისათვის. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს. გარდა ამისა, მე ძლიერ ბევრი მიწვევია მაქვს და ძლივს ვპოულობ დროს, რომ ვისარგებლო ამ მიწვევებით. ამრიგად, საქმე ეხება არა სურვილს გავემგზავრო ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქმე ეხება სხვა რამეს — ადამიანის უფლებებს. გაუგებარია, რა დანაშაულისათვის მისპობს პრეზიდენტი შესაძლებლობას ვისარგებლო იმით, რითაც სარგებლობენ სხვები, რომლებიც იღებენ უფლებას ეწვიონ ამ ქვეყანას.

რაც შეეხება საბჭოთა ადამიანებს, ასეთ საკითხებს ჩვენ სხვანაირად ვუდგებით. ჩვენ კმაყოფილი ვართ, როცა ჩვენთან ჩამოდიან სხვა ქვეყნებიდან პოლიტიკური მოღვაწეებიც და ტურისტებიც.

უკანასკნელ წლებში დამყარდა კარგი პრაქტიკა ამერიკელთა დელეგაციების, პარლამენტის მოღვაწეებისა და ტურისტების მოგზაურობისა საბჭოთა კავშირში და საბჭოთა ადამიანებისა — შეერთებულ შტატებში.

ამას უნდა მივესალმოთ. ჩვენი ხალხი სტუმართმოყვარულად ხვდება ამერიკელებს, ხოლო ამერიკელი ხალხი დიდ გულითადობას იჩენს ჩვენი ადამიანებისადმი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ამერიკაში ამხანაგ მიქოიანის მოგზაურობის დროს. და ბატონმა პრეზიდენტმა რომ გადაწყვიტოს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, მას გულწრფელი სტუმარმოყვარეობით შეხვდებოდა როგორც ჩვენი მთავრობა, ისე საბჭოთა ხალხი. მას შეუძლია თან წამოიყვანოს ვინც უნდა, ყველა ისინი სასურველი სტუმრები იქნებიან. დაე ბატონმა პრეზიდენტმა გადახედოს საბჭოთა კავშირის რუკას და აირჩიოს ჩვენი ქვეყნის რაიონები, სადაც იგი წასვლას მოისურვებს. ჩვენი ქვეყანა ვრცელია და იქ ბევრი საინტერესო ადგილია, სანახავიც ბევრია. ასეთი ვიზიტი, უეჭველია, სასარგებლო იქნება ორივე ჩვენი ქვეყნისათვის და მას მოიწონებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხები. და ჩვენ ასეთ წინადადებას ვაკეთებთ ნაცვალგების პირობის დაუდებლად. ჩვენი ვიზიტებით კი თავს არავის შევაწყენთ.

ჩვენ იმას ვითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ურთიერთშეხვედრები და საუბრები, ურთიერთვიზიტები ხელს უწყობენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც სხეულსა და სულს გაუთბობდა ადამიანებს, შექმნიდა მომავლისათვის უშიშარი ცხოვრების შესაძლებლობას, რათა გამორიცხოს ომი და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანი თანაარსებობა.

ხალხებს არა სურთ „ცივი ომი“. ამიტომ არც არის საფუძვლები შევინარჩუნოთ ყოველგვარი „კვანძი“ საერთაშორისო ურთიერთობაში, ეს კვანძები უნდა გაიხსნას. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, ბერლინის საკითხის გადაჭრა. არც ერთი და არც მეორე მხარე, თუ ეს საკითხები ჩვენი წინადადებების შესაბამისად გადაჭრა, არ მიიღებს რაიმე მატერიალურ მოგებას, მაგრამ სამაგიეროდ შეიქმნება პირობები „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, განიარაღების საკითხების გადაჭრისათვის, შეიქმნება სახელმწიფოთა შორის ისეთი ურთიერთობის დამყარების პირობები, რომლებიც გამორიცხავენ ომს როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას.

სახელმწიფო მდივანი დალესი ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ დათმობენ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში, რომ თუ მათ დათმეს, ამას მოჰყვება არა „ცივი ომის“ ლიკვიდაცია, არამედ ის, რომ ამ „ომს“ საბჭოთა კავშირი მოიგებს. ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ბ-ნ დალესს: ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ ვინმემ რამე დაგვითმოს, ჩვენ გვინდა ურთიერთგაგება, რომ დაეთმოს საღ აზრს. საბჭოთა კავშირს არ უნდა „ცივ ომში“ მოგება არც თავისთვის, არც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, და საერთოდ „ცივი ომის“ მოგება არ შეიძლება. ამასთან „ცივი ომი“ საშიშროებას წარმოადგენს ყველასთვის. თუ წარმოვიდგენთ, რომ საბჭოთა კავშირი რაღაც უპირატესობას იღებს **„ცივ ომში“, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ამ** უპირატესობას კარგავენ, „ცივი ომი“ ამით არ დამთავრდება, იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაკარგულის ასანაზღაურებლად ეცდებიან განაგრძონ თავიანთი პოლიტიკა.

რაღაც მოგებაზე რომ ვიფიქროთ, „ცივი ომი“ არ დასრულდება, ან, რაც უარესია, იგი სამხედრო შეტაკებად გადაიქცევა. მთავრობებმა უნდა გამოიჩინონ „ცივი ომის“ შეწყვეტის სურვილი და უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიჩინონ იმის გაგება, რომ ჩვენ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, რომელსაც საკმაოდ შეზღუდული ზომები აქვს ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის დროს, ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად და ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვსურს, ის, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს „ცივი ომი“. და თუ, ბ-ნო დალესო, თქვენ ასე ძალიან გსურთ ეს, „ცივი ომის“ დამთავრების გულისათვის ჩვენ მზადა ვართ ვაღიაროთ, რომ „გამარჯვება“ ხალხებისათვის ამ ზედმეტ „ომში“ თქვენ გეკუთვნით. ბატონებო, მიიჩნიეთ თავი „გამარჯვებულებად“ ამ „ომში“, ოღონდ მალე დაამთავრეთ იგი.

ყველაფერი უნდა მოისპოს ამ გზაზე, რაც ხელს უშლის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. როცა ჩემმა ჯარისკაცს უჭერს და ფეხს უყვლეფს, ხელს უშლის იაროს საჭირო ჯარისკაცული ნაბიჯით, უნდა გაიხადოს და ხელახლა ჩაიცვას ჩექმა, ზოგჯერ კი კიდევაც გამოიცვალოს.

პოლიტიკაშიც ასე უნდა მოვიქცეთ, საჭიროა მოისპოს ყოველივე, რაც იწვევს საერთაშორისო ვითარების გაუარესებას, აბრკოლებს მშვიდობიან თანაარსებობას. ასეთი დაბრკოლებაა ახლა დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების კურსი. საბჭოთა კავშირის წინადადებამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ დალესს საბაბი მისცა ამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს გამარჯვება მოიპოვოს „ცივ ომში“. მაგრამ ვინ იგებს, როცა ზავი იდება, და ვინ აგებს? იგებს ყველა, ვინც დაინტერესებულია მშვიდობის უზრუნველყოფით, ხოლო აგებენ ისინი, ვისაც მშვიდობა არა სურს. მაშასადამე, საზავო ხელშეკრულება მანვერი კი არ არის „ცივ ომში“, არამედ ხალხთა საერთო საქმეა. ჩვენ არ გვეწყინებოდა და არ შევწამებდით შეერთებულ შტატებს რაღაც ანგარებას, მათ რომ დაეწყროთ ჩვენთვის საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადება, ისევე როგორც არ დავიწყებდით საბაბის ძებნას, რათა თავი აგვერიდებინა ამ მოლაპარაკებისათვის.

საბჭოთა კავშირმა ინიციატივა გამოიჩინა, წამოაყენა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავისი პროექტი. თუ შეერთებულ შტატებს აქვთ შენიშვნები ამ პროექტის მიმართ ან რაიმე განსაკუთრებული სურვილები, რომლებიც უნდა აისახოს ხელშეკრულებაში, არაფინ არ უშლის მათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი. სწორედ ამისთვის არის განზრახული საზავო კონფერენციის მოწვევა.

ამიტომ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს სწორად შეაფასონ საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის საქმის განმტკიცება.

ავიღოთ დასავლეთ ბერლინის საკითხი. დალესი ამბობს: დასავლეთ ბერლინის დათმობა არ შეიძლება. იბადება კითხვა, ვისთვის დათმობა? განა საბჭოთა წინადადებებში დასავლეთ ბერლინის რაიმე დათმობაზეა ლაპარაკი?

დასავლეთი ბერლინი რომ შეშფოთებისა და კონფლიქტების კერა არ იყოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში, არც ბერლინის საკითხი იქნებოდა. მაგრამ დღეს დასავლეთ ბერლინის მდგომარეობა ისეთია, რომ შეიძლება ყოველგვარ უსიამოვნებას მოველოდეთ. იგი შეიძლება შევადაროთ ანთებულ პატრუქს დენთის საწყობში ან დაყოვნებული მოქმედების ბომბს, რომლის მექანიზმმაც შეიძლება ყოველ წუთს გამოიწვიოს აფეთქება. მაშ რატომ უნდა დავტოვოთ ასეთი მდგომარეობა? განა არ აჯობებს ჩავაქროთ პატრუქი, მოვაშოროთ დაყოვნებული მოქმედების ბომბი? ძნელია ვიპოვნოთ სხვა გადაწყვეტა, რომელიც ორივე გერმანული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი იქნება და ამავე დროს არ იქნება საწყენი და ზიანს არ მოუტანს სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს. ახლა ასეთი გადაწყვეტა შეიძლება იყოს დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გადაქცევა. ეს გადაწყვეტა არ ეხება ქალაქის ცხოვრების ჩამოყალიბებულ საფუძვლებს და შესაბამისი გარანტიების დროს გამორიცხავს მის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის შესაძლებლობას.

ამიტომ ჩვენ მზად ვართ შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან ერთად მივიღოთ მონაწილეობა ისეთი დებულების შემუშავებაში, რომლითაც გარანტირებული იქნება დასავლეთ ბერლინის ნორმალური განვითარება, ამ ქალაქის კავშირი ყველა ქვეყანასთან, რომლებთანაც იგი მოისურვებს ურთიერთობას, აგრეთვე გარანტირებული იქნება ამ ქვ

საბჭოთა ენციკლოპედია

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე 1959 წლის 5 თებერვალს

(დასასრული)

სამხედრო ლაშქრობები. გერმანელებმა დიდი უბედურება დაატეხეს თავს ევროპის ხალხებს, მაგრამ სრული დამარცხება განიცადეს. ამჟამად, სამწუხაროდ, დასავლეთ გერმანიაში ყველაზე აგრესიულ პოლიტიკოსებს სურთ ჰიტლერის გზით იარონ. მათ, როგორც ჩანს, ვერაფერი ასწავლა ისტორიის გაკვეთილებმა და მათი სურვილია უკვე მესამედ სცადონ აამხედრონ გერმანელი ხალხი დაპყრობითი ომისათვის.

იმპერიალისტი მესვეურები დაბრმავებული არიან სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სიძულვილით, რომელნიც წარმატებით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას, კულტურას, იუძჯობესებენ კეთილდღეობას. ამ მესვეურებს სურთ შეაჩერონ ისტორია, უკუღმა დაატრიალონ მისი ჩარხი, უწინარეს ყოვლისა გერმანელებზე დაყრდნობით. მაგრამ ატომური და წყალბადის იარაღის დროს, რაკეტული ტექნიკის დროს ასეთი ცდები იქნებოდა უგუნურება, რომელსაც მოჰყვებოდა არა მარტო მილიონობით ადამიანის, არამედ მთელი ერების, სახელმწიფოების დაღუპვა. ამასთან დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა აგრესიაში სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გარდუვლად ჩააყენებდა მას ისეთ მდგომარეობაში, როცა პირველი დარტყმა და დაგროვებული წყალბადის იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილის განმუხტვა გერმანიის მიწა-წყალზე მოხდებოდა.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ გერმანელი მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის პარტიათა ხელმძღვანელები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები შეიგნებენ. რა პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ იმისათვის, თუ რა მიმართულებით მოხდება დასავლეთ გერმანიის განვითარება — ხალხთა შორის სამხედრო კონფლიქტების კერების შენარჩუნების მიმართულებით, თუ ამ კერების ლიკვიდაციის მიმართულებით, რათა გაიკაფოს გზა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა.

შრომისმოყვარე და ნიჭიერმა გერმანელმა ხალხმა მსოფლიოს მისცა ბევრი დიდი მოაზროვნე და გამოჩენილი მეცნიერი, პოეტი, მუსიკოსი, მან შექმნა მძლავრი მრეწველობა და უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს და ამას მიაღწია სხვისი ტერიტორიების მიუტაცებლად, რისთვისაც აქეზებდნენ ჰიტლერი და გებელსი. განა ეს იმას არ მოწმობს, რომ გერმანელმა ხალხმა თავისი მომავალი უნდა ეძიოს მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე და არა ბრძოლის ველზე. ხოლო თუ აღმოფხვრება არსებული დაძაბულობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, გერმანელი ხალხი კიდევ უფრო მეტად გამოიყენებს თავის ძალებს. მას შეუძლია აიმაღლოს ეკონომიკა, გაიუმჯობესოს მატერიალური კეთილდღეობა და გაამრავლოს თავისი ერის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე.

სამწუხაროდ, დასავლეთ გერმანიის კანცლერი ბ-ნი ადენაუერი სხვა მიმართულებით იყურება, მას „ცივი ომის“ განგრძობისა და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელების იმედი აქვს. თქვენ, ბატონო კანცლერო, მდინარის პირას ზიხართ ანკესით და ელით, როდის წამოეგება თევზი, ამასთან ისეთი თევზი, რომელიც ამ მდინარეში არ იცის. განა დრო არ არის თავი დაანებოთ განუხორციელებელ ოცნებას.

ბ-ნი ადენაუერი აცხადებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ დათანხმდება საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე, თუ ჩვენმა ქვეყანამ არ აანაზღაურა ეს თანამშრომლობა. ნუ მიუდგებით, ბ-ნო კანცლერო, პოლიტიკას ბაყალი ვაჭარივით. ჩვენ რა უნდა აგინაზღაუროთ, თქვენი არაფერი გვმართებს. ჩვენი სურვილია თქვენ შეიგნოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის არ შეიძლება იყოს სხვა გონივრული პოლიტიკა, გარდა მშვიდობიანი თანამშრომლობისა თავის მეზობლებთან როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, რომ არც თქვენ თვითონ, არც თქვენი მოკავშირეების დახმარებით არ შეგიძლიათ მოსპოთ სოციალისტური წყობილება აღმოსავლეთ გერმანიაში.

აღმოსავლეთ გერმანიის გერმანელებს არა სურთ დაუბრუნდნენ ძველ ცხოვრებას. ჩვენ გვესმის მათი ინტერესები, მხარს ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ლოგიკურია დავუშვათ, რომ აღმოსავლეთ გერმანიის გერმანელებს თავიანთ მხრივ პრინციპულად სწორად მიაჩნიათ დასავლეთ გერმანიაში არსებული წყობილების ლიკვიდაცია. მაგრამ საკითხის ასეთი დაყენება რეალური არ არის, რადგან სოციალურ ცვლილებას თვითონ ხალხები ახორციელებენ და აქ არ შეიძლება იყოს რაიმე ყიდვა-გაყიდვა.

საჭიროა ვიდგეთ რეალური პოლიტიკის ნიადაგზე, პოლიტიკისა, რომელიც ახლანდელ ისტორიულ მომენტს შეესაბამება. ეს რომ ვერ გავიგოთ, ვიაროთ ინერციით, ვერ ვიგრძნოთ სიცოცხლის სუნთქვა და მაჯისცემა, ამით შეიძლება მილიონობით ადამიანი დაზარალდეს. ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ თქვენი წინადადებანი. თუ ისინი გონივრული იქნებიან, ჩვენ თანახმა ვართ მოვუსხდეთ ერთ მაგიდას და განვიხილოთ თქვენი და ჩვენი წინადადებანი, რათა გამოვნახოთ შეთანხმების ურთიერთმისაღები საფუძველი და ხელი მოვაწეროთ მას.

მაგრამ თუ თქვენ დადებთ პირობად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციას და მის ჩაყლაპვას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელების სოციალურ მონაპოვართა ლიკვიდაციას, ჩვენ ასეთი პირობების განხილვაც არ შეგვიძლია. ჩვენ რომ ეს ვქნათ, ისეთ ფუნქციებს ვიკისრებდით, რომლებითაც არა ვართ აღჭურვილი, რადგან ეს სხვის საქმეებში ჩარევა იქნებოდა.

ყოველმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი სოციალური წყობილება მოსწონს მას. როგორ გადაწყვეტს იგი ამას, მისი საქმეა. ჩვენ არც ეგრეთწოდებული თავისუფალი არჩევნების წინააღმდეგი ვართ, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ დასავლეთის ქვეყნებში. თუ ორივე გერმანული სახელმწიფოს გერმანელები დათანხმდებიან მოაწყონ ასეთი არჩევნები. მაგრამ მესამე მხარის ჩაურევლად. ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ გერმანელები მოისურვებენ მოაწყონ თავისუფალი არჩევნები, რათა მოსპონ დასავლეთ გერმანიის კაპიტალისტური წყობილება. კანცლერი ადენაუერი, როგორც ჩანს, ვერ ურიგდება ამ აზრს, ასეთი ვარიანტი კი საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ ეს თვით გერმანელების საქმეა.

ახლა თავისუფალ არჩევნებზე. დასავლეთ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს თავისებურად ესმით ეს არჩევნები. ცნობილია, რომ ჟენევის თათბირზე 1954 წელს მიღწეული იყო შეთანხმება თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამში ამ ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით. მაგრამ ეს არჩევნები ჩაშალა სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტულმა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით.

ამხანაგებო! ახლა მინდა შევეხო საკითხს, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხად. მე მხედველობაში მაქვს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი.

გასული წლის ზაფხულში ჟენევაში გაიმართა ექსპერტთა თათბირი იმ საკითხზე, თუ როგორ აღმოვაჩინოთ ატომგულის აფეთქებანი, როგორ უზრუნველვყოთ, რომ შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, თუ ასეთი შეთანხმება დაიდო, მკაცრად დაიცვას ყველა მისმა მონაწილემ. თათბირის შედეგებმა სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სავსებით შესაძლებელია ატომგულის იარაღის ყოველი გამოცდის აღმოჩენა, სადაც უნდა მოხდეს ეს გამოცდა. ყველაზე ავტორიტეტიანმა სპეციალისტებმა, მათ შორის საბჭოთა, ამერიკელმა და ინგლისელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს კონკრეტული რეკომენდაციები ატომური და წყალბადის ბომბების აფეთქებათა აღმოჩენისადმი კონტროლის სისტემის შესახებ.

ჩვენ გაგვახარა ექსპერტთა წარმატებითმა მუშაობამ. საბჭოთა მთავრობამ სავსებით მოიწონა დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც ერთსულოვნად მიიღო ჟენევის თათბირმა. ჩვენ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ უმტკივნეულოდ და შემდგომ გაუჭიანურებლად შევძლებდით დაგვედო ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ.

სამწუხაროდ, სხვანაირად გამოვიდა. აი უკვე სამ თვეზე მეტია ჟენევაში სხდომები აქვთ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრიბნენ იმისათვის, რომ შეიმუშაონ და დადონ ხელშეკრულება გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ საქმე წინ არ მიდის. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ მიმდინარეობს ეს მოლაპარაკება, ჩვენმა პარტნიორებმა, როგორც ჩანს, მიზნად დაისახეს არ დაუშვან შეთანხმება.

რა საფუძველზე ვაკეთებ ასეთ დასკვნას? ამის საფუძველი ბევრია.

უწინარეს ყოვლისა, შეერთებულმა შტატებმა ინგლისის სრული მხარდაჭერით სცადეს არსებითად გადაესვათ ხაზი იმ სასარგებლო შედეგებისათვის, რომლებსაც მიაღწია ექსპერტთა თათბირმა. ამერიკის მთავრობამ, რომელმაც თავდაპირველად მოიწონა ექსპერტთა დასკვნები, უეცრად გააკეთა განცხადება, რომ გაჩნდა რაღაც „ახალი მონაცემები“ იმის შესახებ, თითქოს უფრო ძნელი აღმოსაჩენია ატომგულის იარაღის მიწისქვეშა აფეთქებანი, ვიდრე წინათ ფიქრობდნენ ამას. სინამდვილეში საქმე სწორედ პირიქით არის: რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო ადვილი იქნება ატომგულის ყოველგვარი აფეთქების აღმოჩენა, რადგან აღმოჩენის ტექნიკა განუწყვეტლივ უმჯობესდება.

ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების გადასინჯვის მთელი ეს ისტორია იმისათვის დასჭირდათ, რომ ხელი შეუშალონ შეთანხმების დადებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

შეუძლებელია არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამავე მიზანს ისახავს მოთხოვნები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა წამოაყენეს გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დაცვისადმი კონტროლის სისტემის შექმნის საკითხის განხილვის დროს.

თვითონ განსაჯეთ, რას ცდილობენ ისინი! მათ სურთ, რომ აფეთქებათა აღმომჩენი საგუშაგოები, რომელთა შექმნა გათვალისწინებულია, დაკომპლექტებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ უცხოელი პერსონალით, რომ უცხოელი ინსპექტორები შეუფერხებლად მოგზაურობდნენ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე. მათ სურთ აგრეთვე შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ საკონტროლო კომისიას, რომელსაც დაექვემდებარებიან ეს საგუშაგოები და ინსპექტორები, შეეძლოს დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა ხმების მექანიკური უმრავლესობით თავს მოგვახვიოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხებიან საბჭოთა კავშირის უშიშროების ინტერესებს.

მაგრამ ისმება კითხვა, რით განსხვავდება ყოველივე ეს, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებისაგან, რომ ამერიკელებს მიეცეთ შესაძლებლობა თავისუფლად იფრინონ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე და გადაიღონ მისი ფოტოსურათები? ან რით განსხვავდება ეს ეგრეთწოდებული „ბარუხის გეგმისაგან“, რომელიც ფაქტიურად ითვალისწინებდა ამერიკის მონოპოლიების კონტროლის დაწესებას ატომური ხლეჩადი მასალების წარმოებაზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირშიც? ეს წინადადებები, როგორც ცნობილია, უარყოფილ იქნა. ასევე უარვყოფთ ჩვენ ამგვარ წინადადებებს ახლაც, რადგან ვერ დავუშვებთ საბჭოთა ქვეყნის უშიშროების, მისი სუვერენიტეტის ხელყოფას. ამაზე ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით. ისეთი პრეტენზიების დაკმაყოფილება, რომლებსაც ახლა ჟენევაში გვიყენებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები, ნიშნავს დავეთანხმოთ იმას, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მოაწყონ დასავლეთის სახელმწიფოთა ნამდვილი სადაზვერვო ქსელი.

შეიძლება გვითხრან, რომ შემოიტანეს რა თავიანთი წინადადებანი, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი გულისხმობდნენ ასეთივე საკონტროლო სისტემის შექმნას თავიანთ ტერიტორიებზე. ეს შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ მათი ტერიტორიების დაზვერვა ჩვენ არ გვჭირდება, რადგან არ ვისახავთ ომის მიზნებს. ჩვენ არა გვაქვს სამხედრო ბაზები ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო — არც მექსიკაში, არც კანადაში, არც სხვა ქვეყნებში, რომლებიც შეერთებულ შტატებს აკრავან.

საბჭოთა კავშირს საერთოდ არა აქვს არავითარი სამხედრო ბაზა სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რადგან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი ბაზების შექმნა, განსაკუთრებით თავისი საკუთარი ტერიტორიიდან ცხრა მთას იქით, სხვა არაფერია, თუ არ ომისათვის მზადება, აგრესიისათვის მზადება. გარსშემოგვარტყეს რა თავიანთი სამხედრო ბაზები, დასავლეთის სახელმწიფოები ახლა ცდილობენ იმას, რომ ჩვენს ტერიტორიაზეც შექმნან ბაზები თავიანთი სამხედრო დაზვერვისათვის, მიიღონ საბჭოთა ტერიტორიაზე ფრენის უფლება, რათა საშუალება ჰქონდეთ ამ დაზვერვის დახმარებით უკეთ შეარჩიონ მომენტი თავიანთი სამხედრო ბაზების ასამოქმედებლად ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მათ სურთ, რომ ამ ზრახვების რეალიზაციაში დახმარებაც კი გავუწიოთ. რომ გაწყინოთ, ბატონებო?

თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელები ზრუნავენ თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის, თავიანთი ხალხის უშიშროებისათვის, თუ ისინი საღად აზროვნებენ, განა მათ შეუძლიათ მიიღონ ამგვარი მოთხოვნები? ეს იქნებოდა დანაშაული სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი მოთხოვნები, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები გვიყენებენ, არის პრეტენზიები ცუდი განზრახვებით საბჭოთა კავშირის მიმართ. თუ დასავლეთის სახელმწიფოები იტყვიან, რომ არა აქვთ ცუდი განზრახვები, მე ვურჩევდი მათ: ხელი აიღეთ მაშინ თქვენს პრეტენზიებზე, ნუ დაუშვებთ ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვენს ეჭვს იწვევს.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე დაწესდეს შესაბამისი კონტროლი. საბჭოთა კავშირმა თვითონ შეიტანა ჟენევის ახლანდელ თათბირზე წინადადებანი ასეთი კონტროლის შესახებ. მაგრამ ჩვენ არ მივცემთ ნებას, რომ კონტროლის ნიღბით დასავლეთის სახელმწიფოები არღვევდნენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი უარს იტყვიან თავიანთ უგუნურ მოთხოვნებზე, საბჭოთა კავშირი მზად არის უზრუნველყოს ყველა პირობა საკონტროლო საგუშაგოების ეფექტიანი მუშაობისათვის უცხოეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, აპარატურის დადგმისა და მისი მომსახურებისათვის.

ცნობილია, რომ ამჟამად, როცა არ არის არავითარი საერთაშორისო კონტროლი, ატომგულის აფეთქებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები ან ინგლისი ახდენენ, შეუმჩნეველი არა რჩება. ამასთან აფეთქებებს, რომლებიც ხდება, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღმოაჩენს საკონტროლო აპარატურა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზეა, ხოლო ჩვენს აფეთქებებს აღმოაჩენენ ამერიკაში.

ახლა მხედველობაშია შეიქმნას საკონტროლო საგუშაგოების ვრცელი ქსელი აფეთქებათა აღმოსაჩენად იმ ქვეყნის ფარგლებში, საიდაც ეს საგუშაგოები იქნება განლაგებული. მაგრამ აი დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ კიდევ რაღაც მოულოდნელ გამოკვლევას, მოითხოვენ უფლებას, რომ მათმა ინსპექტორებმა შეუზღუდველად იარონ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი საკონტროლო სისტემის ხელმძღვანელი სამხედრო დაზვერვის უფროსად გადაიქცევა. მას ყოველთვის შეეძლება თქვას, თითქოს დაებადა ეჭვი, რომ მისთვის საინტერესო ამა და ამ რაიონში აფეთქება მოხდა, და სპეციალურ ექსპედიციას გაგზავნის ამ რაიონის გამოსაკვლევად. ყოველი სრულიად გამოუცდელი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწისთვისაც კი ნათელია, თუ რა მოჰყვება ამას. ამას ცუდი შედეგები მოჰყვება: ურთიერთობის გაუარესება ხელშეკრულების მონაწილეთა შორის.

ჩვენ არ მოვითხოვთ რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობას ჩვენთვის. ერთადერთი რამ, რასაც ჩვენ ვცდილობთ, არის ნამდვილად თანაბარი პირობები გვქონდეს დასავლეთის სახელმწიფოებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს კი, ესე იგი ნატოს სამხედრო ბლოკს სურთ მიიღონ ცალმხრივი სარგებლობა თავიანთვის საბჭოთა კავშირის ინტერესების საზიანოდ.

ფართო ურთიერთ კონტროლის დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული ნდობის დონესთან, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობაში არსებობს. რაც უფრო მეტია ნდობა, მით უფრო ადვილია შეთანხმება ფართო კონტროლის შესახებ. თუმცა, რა თქმა უნდა, აბსოლუტური ნდობის დროს არც კონტროლი იქნება საჭირო.

განა დასაშვებია პრეტენზიას აცხადებდნენ შეუზღუდველ კონტროლზე, როცა საბჭოთა კავშირის გარშემო კვლავ არის ნატოს მრავალი სამხედრო ბაზა, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ შექმნილი აგრესიული სამხედრო ბლოკების — ნატოს, ბაღდადის პაქტისა და სხვათა მონაწილენი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობასაც კი ზღუდავენ? ჩვენ გვისაყვედურებენ, თითქოს ვაჭრობას ვიყენებდეთ პოლიტიკური მიზნით, მაშინ როცა ნამდვილად სწორედ შეერთებულმა შტატებმა თითქმის შეწყვიტეს ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან, ხელმძღვანელობენ რა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით. მათი ეკონომიური ინტერესები კი სწორედ ვაჭრობის განვითარებას მოითხოვენ, და დასავლეთის ქვეყნების საქმიანი წრეები ვაჭრობის განვითარების პოზიციაზე დგანან.

ამხანაგებო, ასეთია ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე მოლაპარაკების საქმე. გვიყენებენ რა აშკარად მიუღებელ წინადადებებს, ჩვენს პარტნიორებს ჟენევის მოლაპარაკებაში, როგორც ჩანს, სურთ დაბრკოლება შეუქმნან ამ საკითხის გადაჭრას, როგორც მათ ეს უკვე უყვეს უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების საკითხს, რომლის გადაჭრაც მათ ფაქტიურად შეაჩერეს. ეტყობა, ისინი თათბირზე გამოცდის შეწყვეტის შესახებ აპირებენ ერთხანს გააჭიანურონ საქმე, რათა საზოგადოებრივი აზრი მოამზადონ მოლაპარაკების ჩაშლისათვის, ხოლო შემდეგ საერთოდ ჩაშალონ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა.

მე მხოლოდ კმაყოფილი ვიქნებოდი, თუ ეს ჩემი მოსაზრებანი არ გამართლდება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მინდა ერთხელ კიდევ დავადასტურო, რომ ჩვენი სურვილია რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ შეთანხმებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ მზად ვართ ყოველთვის მოვაწეროთ ხელი ამ საკითხზე ხელშეკრულებას, რომელსაც საფუძვლად დაედება გონივრული პირობები და რომელიც უზრუნველყოფს საჭირო კონტროლს აფეთქებისადმი.

ამხანაგებო! ყრილობის დელეგატთა სიტყვებში, აგრეთვე მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელების მისასალმებელ გამოსვლებში გამოვლინდა ერთსულოვნება და ინტერნაციონალური სოლიდარობა, შეხედულებათა ერთიანობა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველა საკითხში. დაადასტურეს რა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის დეკლარაციის დებულებათა სისწორე, ყრილობაზე გამოსულმა ყველა ამხანაგმა აღნიშნა მოძმე პარტიების ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, მათი მტკიცე ბრძოლა რევიზიონიზმის, თანამედროვე პირობებში მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ.

მეტად დამახასიათებელია, რომ ჩვენი ყრილობის მუშაობას, რომელმაც გამოიწვია ესოდენ დიდი ინტერესი და მოწონება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და პროგრესულ საზოგადოებრიობაში, უაღრესი გაბრაზებით გამოეხმაურნენ იუგოსლავი რევიზიონისტები. იუგოსლავიის პრესაში დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც უხეშად ცდილობენ გაამართლონ რევიზიონისტული პოლიტიკა, დაუმალონ იუგოსლავ ხალხს საბჭოთა კავშირის მისწრაფება ითანამშრომლოს იუგოსლავიასთან, დაამახინჯონ ნამდვილი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იუგოსლავიისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში. იუგოსლავიის ხელმძღვანელები თავიანთი რევიზიონისტული პოლიტიკით ხელს უწყობენ მუშათა კლასის რევოლუციური ძალების გათიშვას მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ყველა ჩვენს შენიშვნაზე, თუ რა მოჰყვა იუგოსლავიის ხელმძღვანელთა რევიზიონისტულ პოლიტიკას, მათ არ შეუძლიათ თქვან რაიმე გონივრული. გრძნობენ რა თავიანთი პოზიციების სისუსტეს, ისინი იყენებენ თავიანთ აჩემებულ მეთოდს — დემაგოგიურ განცხადებებს. თითქოს საბჭოთა კავშირი ერევა მათს საშინაო საქმეებში. მაგრამ ეს ცილისწამებაა. კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენ მტკიცედ ვადგავართ სხვა ქვეყნებისა და პარტიების საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას. და ამას ერთხელ კიდევ მთელი გარკვეულობით ვაცხადებთ ჩვენს ყრილობაზე.

მაგრამ შეხედეთ, რა ბინძურ და პროვოკაციულ ხერხებს მიმართავენ იუგოსლავი რევიზიონისტები ახლა, ცდილობენ რა ზიანი მიაყენონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას. როგორც უკვე აღინიშნა მოხსენებაში, იუგოსლავი რევიზიონისტები თხზავენ ყოველგვარ ჭორებს იმის შესახებ, თითქოს არსებობდეს უთანხმოება ჩვენს პარტიასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის. უკანასკნელ დღეებში ისინი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და, როგორც ჩანს, თავიანთი მონაჭორების დასასაბუთებლად გამოიყენეს ისეთი „სოლიდური მოწმე“ და „სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უთანხმოების“ საკითხთა სპეციალისტი, როგორიც არის ამერიკელი სენატორი ჰუბერტ ჰემფრი. როგორც ცნობილია, ეს სენატორი ამას წინათ იყო საბჭოთა კავშირში, და მე მქონდა მასთან საუბარი. ჰქონდა რა ხმაურიანი სენსაციის იმედი, ჰემფრიმ თავის განცხადებებსა და სტატიებში მოჭორა უამრავი სისულელე, მაგალითად ისეთი, რომ მას საბჭოთა მთავრობისაგან სპეციალური წერილი მიაქვს პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან (რა თქმა უნდა, არავითარი წერილი არ ყოფილა), რომ თითქოს მე ვაცნობე მას ორი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოება. თურმე ნუ იტყვით, მე ვერ გამოვნახე ჩემთვის უკეთესი პარტნიორი საიდუმლოებათა გასამჟღავნებლად, ვიდრე ბატონი ჰემფრია! განსაკუთრებით დიდი გასაჭირი მიეცა სენატორ ჰემფრის მძაფრ ფანტაზიას, როცა მან დაიწყო თავისი მონაჭორების შეთხზვა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ. აქ მან მონაჩმახების ცნობილ შემთხზველს ბარონ მიუნჰაუზენსაც კი აჯობა.

და ეს შემთხზველი იუგოსლავ რევიზიონისტებს თავიანთ მოწმედ მოჰყავთ. მხოლოდ სიცილი შეიძლება გამოიწვიოს იმ ვარაუდმა, რომ მე შეიძლება მქონდეს რაიმე ნდობის ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც თვითონ ტრაბახობს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ოცი წლის სტაჟით. ყველი ადამიანი, რომელსაც ოდნავ მაინც ესმის პოლიტიკა, მე უკვე აღარ ვლაპარაკობ ადამიანზე, რომელსაც ესმის მარქსიზმ-ლენინიზმი, გაიგებს, რომ უაზროა ნდობის საუბარი ბატონ ჰემფრისთან კომუნისტური პარტიების პოლიტიკის საკითხებზე, ჩვენს საუკეთესო მეგობრებთან — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ურთიერთობის შესახებ.

როგორც ჩანს, იუგოსლავ რევიზიონისტებს იმდენად ცუდად აქვთ საქმე, რომ ყოველგვარ სულელურ ჭორს აგროვებენ.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება, როგორ ასაღებდნენ მეფის რუსეთში ყოჩაღი გამყიდველები ბულვარულ გაზეთებს. მირბის ასეთი გამყიდველი და გაჰყვირის:

— არაჩვეულებრივი შემთხვევა! ქალმა შობა ულვაშიანი გოგო!..

და, რა თქმა უნდა, გამოუცდელი მკითხველი ხელში გამოგლეჯს გაზეთს, ეძებს ცნობას ამ შემთხვევის შესახებ, მაგრამ ვერაფერს მსგავსს ვერ პოულობს. გამყიდველმა კი გაასაღა გაზეთი, გააკეთა თავისი საქმე.

ვფიქრობ, რომ სენატორი ჰემფრი და მის მონაჭორთა იუგოსლავი გამავრცელებლები რამდენადმე გვანან ბულვარული გაზეთების ასეთ გამყიდველებს.

იუგოსლავიის ხელმძღვანელები ძალიან ნერვიულობენ, როცა ლაპარაკია მშრომელთა ცხოვრების დაბალ დონეზე იუგოსლავიაში

ყრილობაზე მოხსენების შემდეგ იუგოსლავიის პრესა შეეცადა უარეყო მოყვანილი მონაცემები იუგოსლავიის მშრომელთა ცხოვრების დონის შესახებ. მაგრამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია. ჩვენი დებულების დასადასტურებლად, რომ იუგოსლავიის მშრომელთა ცხოვრების დონე არ მაღლდება, შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი სხვა მონაცემი.

ცნობილია, მაგალითად, რომ იუგოსლავიაში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა სახალხო მოხმარების საქონლისა და კომუნალური მომსახურების ფასების ახალი მნიშვნელოვანი მომატება. თუმცა ამავე დროს ხელფასიც მოუმატეს, მაგრამ ხელფასის მომატება სრულიადაც არ ანაზღაურებდა ფასების მომატებას. მაშასადამე, მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი დაქვეითება. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში კი ხალხის მასების კეთილდღეობა განუხრელად უმჯობესდება. ამ ფაქტების წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს ვერ იტყვის.

იმათ, ვინც ცდილობს სტატისტიკის სხვადასხვა დამოწმებით შექმნას შთაბეჭდილება იუგოსლავიის მშრომელთა ცხოვრების მაღალი დონის შესახებ, შეგვიძლია ვუთხრათ: ჰკითხეთ ხალხს, როგორ აფასებს იგი საკუთარი გამოცდილებით თავისი ცხოვრების მატერიალურ დონეს, — მაღლდება იგი თუ დაბლდება, და თუ მაღლდება, რა ოდენობით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ცხოვრების დონის ზრდასთან შედარებით. ხალხი გარკვეულ პასუხს მოგცემთ ამ კითხვაზე. ჩვენ შეგვიძლია თანაგრძნობა გამოვუცხადოთ იუგოსლავიის ხალხებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების დონით მართლაც ჩამორჩებიან სოციალისტურ ქვეყნებს. მათ უხდებათ პასუხი აგონ თავიანთ ხელმძღვანელთა პოლიტიკისათვის.

რამდენადაც იუგოსლავიის პრესა მალავს ჩვენს ყრილობაზე გამოთქმულ მეგობრულ გრძნობებს იუგოსლავიის მშრომელებისადმი, მე შემიძლია ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ჩვენ უაღრესად მეგობრული გრძნობებით ვართ გამსჭვალული მოძმე იუგოსლავიის ხალხებისადმი და იუგოსლავი კომუნისტებისადმი — არალეგალური და პარტიზანული ბრძოლის გმირებისადმი. საბჭოთა კავშირი კვლავაც ეცდება ითანამშრომლოს იუგოსლავიასთან სახელმწიფოებრივი ხაზით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებში, ითანამშრომლოს ყველა საკითხში, რომელშიც ჩვენი პოზიციები ერთმანეთს დაემთხვევა.

ასეთია საერთაშორისო ცხოვრების საკითხები, რომელთა შესახებ მე მიზანშეწონილად მიმაჩნდა მეთქვა ჩემს საბოლოო სიტყვაში.

ამხანაგებო! XXI ყრილობა იღებს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას. ჩვენს პარტიას, გმირ საბჭოთა ხალხს მოუხდება დიდი საქმეების განხორციელება. შვიდწლიანი გეგმის შეს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

3 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **კ. ტ. მაზუროვის** თავმჯდომარეობით. მან სიტყვა მისცა ლატვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ა. ი. სნეჩკუსს.** ლატვის სსრ მშრომელებმა, ამბობს ამხ. სნეჩკუსი, მხურვალედ მოიწონეს კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა. მომავალ შვიდწლეულში კიდევ უფრო განვითარდება რესპუბლიკის მრეწველობა, რომლის საერთო პროდუქციამ 1958 წელს რვაჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. ლატვის სახალხო მეურნეობაში დასახულია დაბანდებული იქნას 12 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში. ახლად იქმნება ქიმიური მრეწველობა. რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება დამავა-მინსკ-ვილნიუს - რიგის გაზსადენის აგება.

აღნიშნა რა, რომ ლატვის სს რესპუბლიკაში ენერგეტიკული ბაზის განვითარებისათვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, ამხ. სნეჩკუსი ამბობს, რომ მდგომარეობა ელექტროენერგიის მხრივ მისი მოხმარების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით კვლავ დაძაბულია. ამიტომ ამხ. სნეჩკუსი გამოთქვამს სურვილს, რომ დაჩქარდეს მძლავრი თბოელექტროსადგურის შენებლობა და მისი პირველი რიგი საექსპლოატაციოდ გადაეცეს არა 1964 წელს, როგორც დასახულია, არამედ 1962 წელს, ხოლო საპროექტო სამუშაოები წელსვე დაიწყოს.

სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულმა დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა, ამბობს ორატორი, შექმნეს ლიტვაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების აღმავლობის პირობები. 1953 წელთან შედარებით რძის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 2,4-ჯერ და ხორცისა — თითქმის ორჯერ. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი ოთხჯერ და მეტად გაიზარდა. მაგრამ, აცხადებს ამხ. სნეჩკუსი, ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ ვიყენებთ შინაგან შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. რძისა და ხორცის წარმოება მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს.

შემდეგ ამხ. სნეჩკუსი შეეხო დიდ მუშაობას, რომელსაც ლიტვის კომუნისტური პარტია ეწევა კადრების დაწინაურებისა და აღზრდისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურყევი ლენინური მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობას. ლიტველმა ხალხმა, — აცხადებს იგი, — მხოლოდ ამ დიადი მეგობრობის მეოხებით აღიცა თავიდან ფიზიკური მოსპობის საფრთხე მეორე მსოფლიო ომის წლებში, შეძლო აღედგინა თავისი სახელმწიფოებრიობა და სწრაფი ტემპებით მიაყვეს წინ ეკონომიკა და კულტურა.

ლიტველი ხალხი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები, მტკიცედ იწყებს შვიდწლედის დიდებულ დავალებათა შესრულებას. მას მტკიცედ სწამს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მძლავრ ძმურ ოჯახში ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს.

თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **დ. დ. ყარაევი** თავის გამოსვლაში ხაზს უსვამს იმას, რომ თურქმენეთის კომუნისტები, ყველა მშრომელნი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი შენებლობის პროგრამას, რომელსაც ყრილობა განიხილავს. ისინი მტკიცედ აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალები და ენერგია მოახმარონ ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის აქტიურ ბრძოლას.

ორატორი აუწყებს ყრილობას დიდმნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულებას: დამთავრდა ძირითადი სამუშაოები უდიდესი საირიგაციო არხის — ყარაყუმის 400 კილომეტრზე მეტი სიგრძის არხის ასაგებად. ახლა თურქმენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება. 27 იანვარს, XXI ყრილობის გახსნის დღეს, ძველი ამუ-დარია შეუერთდა მდინარე მურგაბს. ამუ-დარიის წყალმა გადასერა უდაბნო და მიადგა მურგაბის ოაზისს — საბჭოთა წმინდაბოჭკოვანი ბამბის სამშობლოს.

გიგანტური არხის აგება რთულ პირობებში არა მარტო ტრიუმფია სამამული ტექნიკისა, არამედ ჰიდრომშენებელთა მასობრივ გმირობასაც მოწმობს. არხი კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცოცხალი განსახიერების მკაფიო მაგალითია, მის აშენებაში მთელი ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს.

თურქმენეთის მშრომელები ისწრაფვიან მოკლე ვადაში დაამთავრონ მშენებლობა არხის მეორე რიგისა, რომლის სიგრძე 140 კილომეტრია.

აღნიშნა რა არხის ზონაში მდებარე მიწების გამოყენების დიდი ეკონომიური სარგებლობა, ამხ. ყარაევმა შემდეგ დაახასიათა თურქმენეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტივები. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შვიდი წლის პერიოდში შეადგენს 15.700 მილიონ მანეთს. გაფართოვნებული მრეწველობის, კერძოდ, ნავთობის მრეწველობის, განვითარების სწრაფი ტემპები. თურქმენეთში დასახულია ნავთობისა და გაზის დიდი სადაზვერვო სამუშაოები. ამასთან დაკავშირებით ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განახორციელოს ღონისძიებანი მცირე დიამეტრის ჭაბურღილების საბურღავი ჩარხების წარმოების გასაადიდებლად და მათი კომსტრუქციების გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკამ წელსვე მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. თურქმენეთის პარტიული ორგანიზაცია, აღმოფხვრის რა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში წინათ დაშვებულ ნაკლოვანებებს, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სანიმუშოდ ჩაატაროს ყველა სამუშაო სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

— შვიდწლიანი პროგრამა ითვალისწინებს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის ახალ გიგანტურ აღმავლობას, — ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ი. ი. კუზმინი.**

გეგმა, რომელიც სკკპ XXI ყრილობას წარმოედგინა დასამტკიცებლად, წინანდელი სამეურნეო გეგმებისაგან განირჩევა არა მარტო მასშტაბით, ჩანაფიქრის სიღრმით, იმით, რომ ფართოდ მოიცავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყოველ მხარეს, არამედ უწინარეს ყოვლისა თვისებრივად ახალი, უფრო მაღალი ამოცანებით ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დარგებში. შვიდწლედში, რომელიც იგეგმება, დასმულია ამოცანა გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ წინ სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ამ ყრილობისათვის წარმოდგენილი საკონტროლო ციფრების შემუშავება დაიწყო ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე და საწარმოებში. ხოლო შემდეგ განგრძობილ იქნა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და აგეგმო ორგანოებში. იგი ხორციელდებოდა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით და პროფკავშირების, კომკავშირის აქტიური მონაწილეობით. ამის მეოხებით საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონის საწარმოო კოლექტივებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების პრაქტიკული გამოცდილება და მრავალი წინადადება.

გეგმის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბევრმა დიდმა მეცნიერმა და სპეციალისტმა. მარტო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შექმნილი იყო დაახლოებით 30 კომისია ინსტიტუტებიდან, დარგებში, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 300 თვალსაჩინო მეცნიერი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ყრილობისწინა განხილვას პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მიერ. შემოტანილია ათასობით პრაქტიკული წინადადება, რომელთაგან ბევრი მიღებულია, ხოლო ბევრი განხორციელდება პერიოდში, რომელიც სცილდება ამ შვიდწლეულის ფარგლებს. აი ამიტომ შეიძლება სრული სიფაქიზით ითქვას, რომ შვიდწლიანი გეგმა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური მშენებლობის ღრმად პარტიული პროგრამაა.

შვიდწლიანი გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს, რომ საჭიროა შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების თანმიმდევრული განხორციელება, რაც წარმოადგენს მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში და ყოველ ცალკეულ სოციალისტურ ქვეყანაში წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებას, აგრეთვე კომუნიზმისაკენ სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის წინსვლის დაჩქარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

შემდეგ ი. ი. კუზმინი აცხადებს, რომ ყრილობის დილის სხდომაზე გამოსულ ამხ. პერეუხინს არსებითად არაფერი არ უთქვამს თავის მონაწილეობაზე ანტიპარტიულ ჯგუფში. ორატორი ამბობს, რომ ამხ. პერეუხინი იმ მომენტიდან, როცა ანტიპარტიული ჯგუფი მხილებულ იქნა, მალავს სახეს და ალბათ იმის იმედი აქვს, რომ მისი საქმიანობა ანტიპარტიულ ჯგუფში და ოჩამქედობა დიდ სახელმწიფო პოსტებზე, რომლებიც მას პარტიამ მიანდო, შეუმჩნეველი დარჩება.

ამხ. კუზმინი დასასრულ აღნიშნავს, რომ სამეურნეო მშენებლობის გაზრდილი მასშტაბები, პროგრესული ცვლილებანი სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შემუშავება უფრო ხანგრძლივი ვადისათვის, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების შემდგომი გაღრმავება — ყოველივე ეს აყენებს სავსებით ახალ და მეტად რთულ ამოცანებს როგორც მგეგმავი, ისე სამეურნეო ორგანოებისათვის და სერიოზულ ამოცანებს უსახავს ეკონომიური მეცნიერების მუშაკებს.

ნამდვილად მეცნიერული დაგეგმვისათვის მტკიცე ბაზის შესაქმნელად მიზანშეწონილია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას ჰქონდეთ რამდენიმე ეკონომიური ინსტიტუტი, რომლებიც დაამუშავებენ როგორც თეორიულ, ისე კონკრეტულ ეკონომიურ პრობლემებს. ამხ. კუზმინს მიაჩნია, რომ უნდა განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის საკითხი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ამხ. **ა. ნ. ნესმეიანოვს.**

კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის თავისი ისტორიული მნიშვნელობით უდიდესი პროგრამა, რომელიც დასახულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ამბობს ორატორი, ყოველ საბჭოთა ადამიანს აღაფრთოვანებს მისი თავდადებული შესრულებისათვის. საბჭოთა ქვეყნის მეცნიერები ძალასა და შთაგონებას მიიღებენ ამ დიად პროგრამაში, რომლის მთლიანად და დადაჭარბებით შესრულებაში მათ პასუხსაგები როლი უნდა ეკუთვნოდეთ.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები მსოფლიოს აკვირვებს. მიმდინარე წლის 2 იანვრის დღე სამუდამოდ ჩაწერილია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში, როგორც პირველი კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვების უდიდესი თარიღი. რაკეტის გაყვანა დედამიწისა და მთვარის მიზიდულობის ზონიდან, აბობს ა. ნ. ნესმეიანოვი, მზის სისტემაში ახალი პლანეტის შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც აქვს მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.

ამხ. ნესმეიანოვი აცხადებს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან და უმაღლესი განათლების სამინისტროსთან ერთად განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში 1959-1965 წლებისათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა, ქიმიის, ტექნიკის, ბიოლოგიის, გეოლოგიური გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, სამართლისა და ისტორიის მეცნიერებათა დარგში მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებანი. ძირითად მიმართულებათა გამოყოფა ქმნის საჭირო წანამძღვარს ამ დარგებში მეცნიერული ძალებისა და სახსრების კონცენტრაციისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მალე მივაღწიოთ საჭირო შედეგებს მეცნიერული ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე.

ძირითადი მეცნიერული მიმართულებანი განსაზღვრულია, ჯერ-ერთი, ბუნების კანონების შესწავლაში სწრაფი წინსვლის პირობებისა და ასეთი შესწავლის ახალი მეთოდების შემუშავების გათვალისწინებით; მეორე, ამ მიმართულებებს მხედველობაში აქვთ ბუნების უკვე ცნობილი მოვლენებისა და კანონების გამოყენება სახალხო მეურნეობაში, რათა შეექმნათ ახალი ტექნოლოგიური პროცესები, ახალი მანქანები და აპარატები, გაკაფოთ ბუნების დამორჩილების ახალი გზები.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი აკადემიკოსმა ნესმეიანოვმა მიუძღვნა იმ ამოცანების მიმოხილვას, რომლებიც დასმულია მეცნიერების სხვადასხვა დარგის წინაშე. მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დარგში, რომლებსაც დღეს წამყვანი ადგილი უჭირავთ ბუნებისმეტყველებაში, ძირითადი მიმართულებაა ატომგულის ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა, ნახევარგამტარები, რადიოტექნიკა და ელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ზოგი სხვა რამ.

დასასრულ ამხ. ნესმეიანოვმა განაცხადა:

— საბჭოთა მეცნიერება პარტიული მეცნიერებაა. მისი ამოცანაა ემსახუროს კომუნიზმის მშენებლობას. კომუნიზმის პირველი ქვეყნის მეცნიერება პირველი უნდა იყოს მსოფლიოში როგორც დონის, ისე იდეურობის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ აღმოჩენათა გამოყენების ეფექტიანობის მხრივ.

შემდეგი ორატორია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ს. ა. თოვმასიანი,** ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, ამბობს იგი, რომ პარტიის ყრილობებს იწვევენ მაშინ, როცა გადასაჭრელია ახალი, საარსებო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანები. ამჟამად საბჭოთა კავშირი შედის თავისი განვითარების ახალ ხანაში, და ჩვენი XXI ყრილობა განსაზღვრავს კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის დაჩქარებული წინსვლის სტრატეგიულ ხაზს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამა, აცხადებს ორატორი, მკაფიოდ ასახავს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ ზრდას. მაგალითად, სომხეთში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების გადიდება 2,2-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება 12 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა 1,7-ჯერ. განსაკუთრებით მაღალი ტემპებით განვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ფერადი მეტალურგია, ქიმია, ელექტროტექნიკა და ზუსტი მანქანათმშენებლობა.

შემდეგ ამხ. თოვმასიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი ხელმძღვანელობის უმდიდრეს გამოცდილებას გადასცემენ პარტიულ კადრებს. დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების დროზე დაყენებით და თანმიმდევრული გადაჭრით სკკპ ცენტრალური კომიტეტი გვიჩვენებს, როგორ უნდა შევახამოთ პარტიული მუშაობა სამეურნეო მუშაობასთან, ეხმარება პარტიულ კადრებს დაეუფლონ ორგანოზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ხელოვნებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყველა კომუნისტს ასწავლის სამეურნეო მშენებლობის კონკრეტულ ხელმძღვანელობას. ეს არის მისი ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება, იმის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა, რომ შვიდწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდება.

ამხ. თოვმასიანი ლაპარაკობს კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა შვიდწლედის დაჯილდათა წარმატებით შესრულებისათვის. კერძოდ, სომხეთის კომპარტიის XX ყრილობამ დასახა ამოცანა — 1959-1965 წლების განმავლობაში მკვეთრად ავამაღლოთ რესპუბლიკის ყველა რაიონის ეკონომიკა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების გზით, რაიონების ნედლეული რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მაქსიმალურად მოქცევის გზით.

ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ე. ი. ანდრეევამ** ყრილობის დელეგატებს უამბო, თუ როგორ ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილ მიმწოდებლად წარსულში ჩამორჩენილი ტამბოვის ოლქი. ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ხორცისა და რძის წარმოების შვიდწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულონ, ხოლო წელს სახელმწიფოს ჩაბარონ და მიჰყიდონ ერთიორად და უფრო მეტი ხორცი, ვიდრე გასულ წელს. 1965 წელს ოლქში ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულ უნდა იქნას 90 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით.

კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა უფრო დიდი ვალდებულებები იკისრეს და გადაწყვიტეს წელს ყოველ ას ჰექტარზე მიიღონ 150 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე, ხოლო შვიდწლედის ბოლოსთვის — 250 ცენტნერი ხორცი და 800 ცენტნერი რძე.

ჩვენ აგრეთვე ამოცანად ვისახავთ, ამბობს ამხ. ანდრეევა, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ჰექტარზე გადადიდოთ 40 ცენტნერამდე. სუფთა ანეული შეეცვალეთ მოთესილი ანეულით, ხოლო სიმინდის ნათესების ვაფართოებთ მთელი სახნავი მიწის 40-50 პროცენტამდე. სიმინდი ჩვენ მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდების უმაგალითო წყაროდ მიგვაჩნია, იგი შეესაძლებლობას მოგვეცემს მკვეთრად გავადიდოთ კოლმეურნეობის შემოსავალი.

ჩვენი კოლმეურნეობის მთელი მუშაობის შთამაგონებელია, მისი სული და გეგმა პარტიული ორგანიზაცია. მან დარაზმა კოლმეურნეები დიდი საქმეებისათვის, სათავეში ჩაუდგა მოძრაობას ჩვენი არტელის ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ახლა ენიჭება შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას, განსაკუთრებით მეცხოველეობაში. მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს, ამხანაგო მრეწველობის მუშაკებო, წინადადებას იძლევა ამხ. ანდრეევა. ჩვენ ვადამდე შევასრულებთ შვიდწლედს ხორცისა და რძის დარგში, თქვენ კი კოლმეურნეობებს მანქანები მიეცით.

ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელს, ამბობს შემდეგ იგი, ახლა საჭირო სახსრები აქვს იმისათვის, რომ, საწარმოო მშენებლობასთან ერთად, მნიშვნელოვნად გააძლიეროს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობა სოფლად. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ტამბოვის ოლქის სოფლებში აშენდა 40 ათასი სახლი, ახლა კი ჩაღდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობა. ამხ. ანდრეევა მოუწოდებს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეებს გააჩაღონ შეჯიბრება სოფლად უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და კულტურისათვის.

ყრილობას შემდეგ მიესალმნენ მთელი რიგი მოძმე პარტიების წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ამხ. **აჯოი გჰოში** თავის გამოსვლაში აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მიღწევები მშენებლობის დარგში, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუჯობესების დარგში ლამაზის სცემენ კაპიტალიზმის იდეოლოგიას, წარმოადგენენ რევიზიონისტული თეორიების თვალსაჩინო გაბათილებას. საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნების მზარდი ძლიერება მსოფლიოს ხალხს მიაჩნია ყველა ქვეყნის მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო გარანტიად. ეს განსაკუთრებით ეხება აზიისა და აფრიკის ხალხებს, სადაც ირღვევა კოლონიური წესები, სადაც ბევრმა ქვეყანამ ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

ჩვენ ყველანი, აცხადებს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. **ედვარდ ჰილი,** კომუნისტთა დიდ საერთაშორისო არმიას ვეკუთვნით. თვითეული ჩვენგანი ასრულებს თავის ინტერნაციონალურ პროლეტარულ ვალს, ამასთან თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია, და ჩვენ კანონიერად ვამაყობთ ყველა კომუნისტის მიერ მიღწეული წარმატებებით. ამ წარმატებათაგან ყველაზე ღირსშესანიშნავია თქვენი მიღწევები, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგატებო და წევრებო.

ედვარდ ჰილი აღნიშნავს, რომ ავსტრალია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხით ეკონომიური მოდღეობისა და დაქვეითების საფრთხის წინაშე დგას. კომუნისტური პარტია იქ ძლიერ დევნას განიცდის, მაგრამ ვერც აშკარა რეაქციამ, ვერც რევიზიონისტებმა ვერ შეარყიეს მისი მტკიცე ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი.

ტრიბუნაზეა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **პოსტოლოს გროზოსი.** სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, ამბობს იგი, აღაფრთოვანებენ ჩვენს ხალხს, რომელიც ძნელ პირობებში იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმისადმი დამორჩილების რეჟიმისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, თავისი თავისუფლებისათვის, დემოკრატიული განვითარებისათვის.

საბერძნეთში და მთელ მსოფლიოში დიდი აღფოთვება გამოიწვია მნონოლის ელეზოსის დაპატიმრებამ და სამხედრო სამართალში მიცემამ, რაც გაკეთებულია ამერიკელ იმპერიალისტთა მითითებით ბონელ რევანშისტთა სურვილის შესაბამისად.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, აცხადებს ამხ. გროზოსი, ამ ყრილობის ტრიბუნიდან გამოვთქვათ ჩვენი ღრმა მადლობა საბჭოთა კავშირის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ყველა საბჭოთა მოქალაქისადმი, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა ორგანიზაციისადმი, საზოგადო მოღვაწეებისა და კეთილი ნების ადამიანებისადმი, რომლებმაც ხმა ალამაღლეს მანონოს ელეზოსის ხსნისათვის, საბერძნეთში ტერორის რეჟიმის წინააღმდეგ, სადაც 10-12 წელია საპყრობილეებსა და გადასახლებაში იტანჯებიან ათასობით მებრძოლნი დემოკრატიისათვის.

თქვენი შვიდწლიანი გეგმის შესრულება, განაცხადა მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **დიონისიო ენინამ,** განამტკიცებს სოციალიზმის მსოფლიო ბანაკს, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იერარქიტეტის ზრდას, შვიდობისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენ, მექსიკელ კომუნისტებს, განაგრძობს ამხ. ენინა, შეგნებული გვაქვს, რომ ამჟამად ჩვენი ამოცანა, ისევე როგორც მთელი დემოკრატიული ძალების ამოცანა, იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებაა.

მექსიკის კომუნისტთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს, მუშათა კლასსა და მთელ საბჭოთა ხალხს, უსურვებს წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის გეგმების განხორციელების საქმეში.

საღამოს სხდომის დასასრულს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის პრეზიდიუმს წინადადება შემოაქვს შეიქმნას კომისია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო ყრილობის რეზოლუციის პროექტის მოსამზადებლად.

კომისიის შემადგენლობაში ერთხმად აირჩიეს შემდეგი ამხანაგები:

ნ. ს. ხრუშჩოვი	ა. ბ. კირილენკო	ზ. ნ. ნურიევი
ე. ი. ანდრეევა	ა. ი. კირიჩენკო	ნ. ვ. პოდგორნი
ა. ბ. არისტოვი	ფ. რ. კოზლოვი	დ. ს. პოლიანსკი
ნ. ი. ბელიაევი	ე. ა. კოლუშჩენკი	ა. ნ. პოსპელოვი
ლ. ი. ბრეჟნევი	დ. ს. კორეტჩენკო	ი. რ. რაზაკოვი
ა. ი. გაევოი	ა. ნ. კოსიგინი	კ. ი. სატაევი
ვ. ვ. გრიშინი	ი. ი. კუზმინი	ა. ა. სატიუკოვი
გ. ა. დენისოვი	ო. ვ. კუსინენი	ვ. ე. სემიჩასტნი
ი. ი. დიადიკი	ი. ბ. კებინი	ზ. ტ. სერდიუკი
ბ. ი. დორონინი	მ. ა. ლავრენტიევი	ა. ი. სნეჩკუსი
ლ. ნ. ეფრემოვი	ნ. ვ. ლაპტევი	ტ. ი. სოკოლოვი
მ. ტ. ეფრემოვი	ა. ნ. ლარიონოვი	ი. ვ. სპირიდონოვი
კ. ე. ვოროშილოვი	ბ. ფ. ლომაკო	მ. ა. სუსლოვი
ა. თ. ზასიადკო	კ. ტ. მაზუროვი	ვ. ნ. ტიტოვი
ა. ბ. ზვერევი	რ. ი. მალინოვსკი	ტ. ულუზაბაევი
ს. ა. თოვმასიანი	ნ. ი. მაბაი	ვ. ი. უსტინოვი
ნ. ბ. იბნატოვი	დ. მ. მატიუშკინი	დ. ფ. უსტინოვი
ს. დ. იბნატიევი	ვ. ვ. მაცაევიჩი	ე. ა. ფურცევა
ი. ე. კალნბერზინი	ა. ი. მიქოიანი	დ. დ. ყარაევი
ნ. ტ. კასჩენკო	ვ. ა. მოსკალენკო	ნ. მ. შვერნიკი
ს. კაბალოვი	ი. დ. მუსტაფაევი	ა. მ. შაკულინკოვი
ი. ვ. კაპიტონოვი	ნ. ა. მუხიტდინოვი	ა. ი. ხვოროსტუხინი

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

4 თებერვლის დილის სხდომა გაიხსნა **ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის** თავმჯდომარეობით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ტ. ს. მალცევს** — კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრეს, შადრინსკის სასელექციო მიდამოს სადგურის დირექტორს. იგი, კერძოდ, დაწვრილებით ლაპარაკობს ნიადაგის დამუშავების გაუჯობესების მეთოდებზე და სპეციალურად მოთესილი ანეულის გამოყენებაზე. ციმბირის პირობებში, სადაც გვალვიანი ზაფხული იცის, აცხადებს ამხ. მალცევი, საკმაოდ სუფთა ანეული, რომელიც ხელს უწყობს ტენის დაგროვებას ნიადაგში და სარეველა მცენარეთა მოსპობას. მაგრამ სუფთა ანეულს ძალიან თესლბრუნვის მიწების დაახლოებით ერთი მეხუთედი უჭირავს და წლის განმავლობაში არაფერს არ იძლევა. ამავე დროს მეცხოველეობის ზრდა მოითხოვს, რომ სულ მეტი და მეტი საკვები ვაწარმოოთ. ამიტომ ორატორის წინადადებაა სუფთა ანეულში დათესოს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით, მაგრამ დატოვებულ იქნას 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი, ესე იგი ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო განიერი მწკრივთაშორისები. ეს შესაძლებელს გახდის, რომ მწკრივთაშორისები მექანიზებული წესით დამუშავდეს სიგრძე-სიგანეზე, მოისპოს სარეველა მცენარეები, დაგროვდეს ტენი და ნიადაგი ისეთსავე მდგომარეობაში იყოს, როგორც სუფთა ანეულის დროს.

ამასთანავე ყოველ ჰექტარ ასეთ მოთესილ ანეულზე შეიძლება დამატებით მიეღოთ 200 ცენტნერამდე საკვები. კონსტრუქტორებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ შექმნან ნიადაგის საფხვიერებელი ისეთი იარაღი, რომელსაც ორი მეტრი მოქმედების განი ექნება.

როცა ვისწავლით კარგად მოვამზადოთ წარმოდგენილი მეთოდით ანეული, ამბობს ორატორი, შესაძლებელი გახდება მთელი სიმინდი ვთესოთ სანაენული მიდამოში, როგორც ეს ხდება საკმაო ტენიან რაიონებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

(დასასრული)

შარშან დაახლოებით 15 მილიონი მანეთი შეადგინა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განმტკიცებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მცოდნე მუშაკებით. საბჭოთა მეურნეობების თითქმის ყველა დირექტორს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების 70 პროცენტს, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაშენებულებაზე კომუნისტები მუშაობენ.

აწონ-დაწონეს რა არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, ამბობს შემდეგ ამხ. ლებედევი, სტავროპოლის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ სამ წელიწადში. მხარეი მეცხოველეობის უზრუნველსაყოფად სრულფასოვანი საკვებით, სიმინდის ნათესები წელს გადიდდება 1.300 ათას ჰექტარამდე, ამასთან მისი ხვედრითი წონა მარცვლეულის მთლიან მოსავალში დაახლოებით ნახევარი იქნება. დასახულია უკვე წელს ორნახევარჯერ გადიდდეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება და მიყიდვა.

ფართოდ იქნება გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია. შარშან მეურნეობებში შეიქმნა სამი ათასი მექანიზებული რგოლი, რომლებმაც დაამუშავეს მილიონამდე ჰექტარი სიმინდის ნათესი. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობებს დაეზოგათ 1.250 ათასი კაცდღე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებს — 22 მილიონი მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. ფ. უსტინოვმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრეწველობის განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის პერსპექტივები, რაც დასახულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ვრანდიოზული, წარმტაცი და ამავე დროს მეცნიერულად დასაბუთებული და რეალურია. ყრილობაზე გამოსული ამხანაგები, ამბობს დ. ფ. უსტინოვი, სავსებით სწორად აყენებენ შვიდწლიანი გეგმის დაკალებათა ვადამდე შესრულების საკითხს. ამით ჩვენი ქვეყანა მიიღებს დროის დამატებით მოგებას კაპიტალიტურ ქვეყნებთან შრომიდან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ამიტომ ყველა ღონისძიება უნდა მიღებულ იქნეს შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის მრეწველობაში, მისი რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის ყველაზე შემშვიდრეტელ ვადებში და ყველაზე მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე.

მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ტექნოლოგიის დონის შემდგომი ამაღლება წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

შეეხო რა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საამწყობო ოპერაციების ავტომატიზაციას, რომლებიც მთელ რიგ წარმოებებში საერთო შრომატევადობის 50-60 პროცენტს შეადგენენ. ეს შეეხება საკონტროლო ოპერაციებსაც, რომლებიც დასაქმებულია წარმოების მუშაობა საშუალოდ 10-20 პროცენტი. ახალი ტიპის ავტომატური მოწყობილობის შემქმნელთან ერთად საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მოქმედი მოწყობილობის ავტომატიზაციის შესაძლებლობანი.

ასეთი მუშაობა, მაგალითად, განხორციელდა ლუგანსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც არსებული მოწყობილობის ავტომატიზაციისა და ავტომატიზებული ტრანსპორტის შექმნის გზით ოპერაციათა შრომატევადობა მოკლე ვადაში ერთიორად შემცირდა.

წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციის ამოცანის გადაჭრაში, აღნიშნავს ორატორი, დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მოწყობილობის პროგრამულმა მართვამ, ტექნოლოგიის ისეთი ახალი მეთოდების დანერგვამ, როგორიც არის ვაკუუმის, ულტრაბგერის გამოყენება და სხვ. ულტრაბგერითი ჩარხის დანერგვით მიღებულმა წლიურმა ეკონომიამ, მაგალითად, შეიძლება მიაღწიოს, მთელი რიგი ქარხნების მონაცემებით, 100 ათასიდან 300 ათასამდე მანეთს, შაშინ როცა ჩარხის საშუალო ღირებულება 30 ათას მანეთს შეადგენს.

ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული დარგია, განაგრძობს ამხ. უსტინოვი, რაკეტული ტექნიკა. მოიყვანა რა მკაფიო მონაცემები დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და პირველი ხელოვნური პლანეტის გაშვების შესახებ, ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პარტია განუხრელად ახორციელებს მრეწველობის და, კერძოდ, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ელექტროენერგიის, ქიმიის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარების ხაზს. ამის მეოხებით ამეამად საბჭოთა კავშირს სერიულ წარმოებაში აქვს ყველა კლასისა და დანიშნულების საბრძოლო რაკეტები და სხვა თავდაცვითი ტექნიკა, რომელიც შეესაბამება თანამედროვე დონეს და რომელსაც მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალების ხელში შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი სამშობლოს დაცვა და, საჭიროების შემთხვევაში, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ აგრესორს.

თანამგზავრებისა და რაკეტების შექმნისათვის, აღნიშნავს ამხ. უსტინოვი, საჭირო იყო გადაგვეჭრა ბევრი რთული ამოცანა, ისეთები, როგორიც არის მძლავრი რაკეტული ძრავების, მათი სპეციალური სათბობებისა და მხურვალმტკიცე მასალების წარმოების თვისება. რაკეტული ძრავების სიმძლავრე გაიზომება მილიონობით ცხენძალით, შაშინ როცა მეტად მცირეა მათი წონა და დიდია მარგი მოქმედების კოეფიციენტი. კოსმოსური რაკეტის ფრენის პროცესში დამყარდა რადიოკავშირის სიშორის რეკორდი, კავშირი ხორციელდებოდა ნახევარ მილიონ კილომეტრ მანძილზე. ეს 25-ჯერ აღემატება ყველაზე გრძელ რადიოკავშირს დედამიწაზე.

ამხ. **ი. კ. ბეგალინი** (სტალინგრადის პარტიული ორგანოსი) — ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, აგრეთვე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახული დიდებული პერსპექტივები შესაძლებელი გახდა პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად.

ამხ. ეგალინი შეეხო ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. უკანასკნელ წლებში ოლქი გახდა რესპუბლიკის მსხვილი ინდუსტრიული რაიონი. ყოველ წელს იზრდება მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, მწყობრში დგება ახალი საწარმოები, შენდება ახალი ქალაქები და მუშათა დასახლებანი. ზეგი მეტალურგიის, ტრანსპორტშენებლობისა და გემთმშენებლობის გარდა, შექმნილია წარმოების ახალი დარგები — ფერადი მეტალურგია, ნავთობის, გაზის, ცემენტის, ნავთობგადასამუშავებელი, საფეიქრო.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა, ამბობს ორატორი, პირნათლად შეასრულეს ყრილობის აღსანიშნავი ვალდებულებანი და ვადაზე ერთი წლით ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ პირველი სამი აგრეგატი, თვითეული 115 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. ისინი ემზადებიან საექსპლოატაციოდ გადასცენ 1960 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეა 2.575 ათასი კილოვატი.

სტალინგრადელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ამაყობენ მიღწეული წარმატებებით, მათ ახარებთ დიდებული პერსპექტივები. მთლიანი პროდუქციის გამოშვება შვიდწლედის მანძილზე უნდა გადიდდეს 2,6-ჯერ 1958 წელთან შედარებით. ნავთობის მოპოვება გადიდდება ერთიორად, გაზისა — 5,5-ჯერ, ელექტროენერგია 1960 წელს გამომუშავებული იქნება 7-8-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. შეიქმნება მთელი რიგი ახალი წარმოებანი, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოქმედი საწარმოები. სსრკ-ნაგრადი გახდება უდიდესი მიმწოდებელი ალუმინისა და ელექტროფოლადისა, რომლის წარმოება 10-ჯერ გადიდდება. განსაკუთრებით დიდად განვითარდება ქიმიური მრეწველობა, რომლის მთლიანი პროდუქცია შვიდწლედში 11-ჯერ გადიდდება.

ამხ. ეგალინი აღნიშნავს, რომ სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ათასეულს 1.350 ათასი ჰექტარი ახალი მიწა, გაადიდეს სიმინდის ნათესები. გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სახოგადოებრივი ჯოგი, ერთიორად გადიდდა წველადობა, 4,5-ჯერ და მეტად გაიზარდა კოლმეურნეობათა ფუნდი შემოსავალი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ამბობს ამხ. ეგალინი, უნდა განხორციელდეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი. ჩვენ ბევრი გვაქვს მიწა და მზე, მაგრამ არ გვყოფნის ტენი. სტალინგრადსა და სარატოვს შორის ხელოვნური წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით იმის რეალური შესაძლებლობანი იქმნება, რომ მნიშვნელოვანდ დანაბარჯების გაუწევლად განხორციელდეს იმიერვოლგეთის 900 ათასი ჰექტარი გვალვიანი, მაგრამ ნაყოფიერი მიწის მორწყვა.

ტრიბუნაზეა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მიკოლა შაუი.** შესანიშნავი შვიდწლიანი გეგმა, ამბობს იგი, რომელსაც გმირი საბჭოთა ხალხი განახორციელებს, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი და უმაგალითო წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

გასულ წელს, განაგრძობს ამხ. შაუი, ჩვენი პარტია ღირსეულად მონაწილეობდა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლაში, იბრძოდა რა ბარიკადებზე მთელი ეროვნული ძალების წარმომადგენელთა მხარდამხარ. მან შეასრულა თავისი მოვალეობა ამერიკელი იმპერიალისტების ჯარებისადმი წინააღმდეგობაში, რომელნიც ლიბანში შემოიჭრნენ. პარტია მუშიდრად დაკავშირებულია ხალხის მასებთან და განაგრძობს ბრძოლას იმისათვის, რომ საბოლოოდ იხსნას თავისი ქვეყანა ეიზენჰაუერის დოქტრინისაგან, იმპერიალისტური დამოკიდებულებისაგან.

ლიბანელებს, ამბობს ამხ. შაუი, ყოველთვის მადლობით ეხსომებათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხმა მხარი დაუჭირა მათ ამერიკელთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ სამუდამოდ ეხსომებათ ოკუპანტების მომქმედების წინააღმდეგ მრისხანე პროტესტის ის გრანდიოზული დემონსტრაციები, რომლებიც გაიმართა საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში.

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **ალა ვოლფი.** ის გარკვევით, რომ ეს ყრილობა, ამბობს იგი, განიხილავს ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გეგმას, მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეს და დემოკრატიულ უფლებებზე, ამტკიცებს სოციალიზმის სასიცოცხლო ძალის უპირატესობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა ზრდის სოციალიზმის მომზიდველ ძალას, შეაძლებელს ხდის სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩაბმულ იქნან მშრომელთა ახალი ფენები.

ამხ. ვოლფმა მოაგონა სხდომას, რომ ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ გადაჭრით დაგმო რევიზიონიზმი, აგრეთვე დოგმატიზმი და სექტანტობა. პარტია მუშიდრად შეკავშირებულია თავისა ცენტრალური კომიტეტის გარშემო მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. პარტიის რიცხობრივი შემადგენლობა ახლა უკვე მეტია, ვიდრე იყო რევიზიონისტული, პარტიისადმი მტრული ჯგუფის გამოსვლამდე.

დასასრულ ამხ. ვოლფმა წაიკითხა ნიდერლანდის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობასადმი.

კოლუმბიელი ხალხი, განაცხადა კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ჰილბერტო ვიეირამ,** რომელიც შემდეგ გამოვიდა, გამსჭვალულია იმის რწმენით, რომ გმირი საბჭოთა ხალხი, რომელსაც გამოცდილი ლენინური პარტია წელიწადეულებს, წარმატებით შეასრულებს შვიდწლიან გეგმას. საბჭოთა კავშირის, კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვისაც.

ამხ. ვიეირამ შემდეგ თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინა XX ყრილობის დასკვნები, რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობას ეხება, სავსებით დადასტურდა კოლუმბიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კოლუმბიის ხალხმა დაამხო სამხედრო დიქტატურის რეაქციული რეჟიმი და დაადგა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების გზას, მიაღწია კომუნისტური პარტიის ლეგალურობას. ამჟამად კოლუმბიის ხალხი განაგრძობს თავის ბრძოლას, იკრებს ძალებს, იბრძვის ნამდვილი დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. დღითიდღე იზრდება იმ კოლუმბიელთა რიცხვი, რომელნიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

დილის სხდომა დამთავრდა კოლუმბიის წარმომადგენლის გამოსვლით.

4 თებერვლის საღამოს სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **ა. ნ. პოსპელოვის** თავმჯდომარეობით. მან სიტყვა მისცა ამხ. **გ. ა. დენისოვს** (სარატოვის პარტიული ორგანიზაცია).

შვიდწლიანი გეგმა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, განაცხადა ამხ. დენისოვმა, დიად სამუშაოთა გეგმაა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის რუკაზე არ დარჩენილა არც ერთი წერტილი, სადაც გათვალისწინებული არ იყოს ახალი მშენებლობა, სადაც არ აღმოჩენილიყოს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ახალი რესურსები.

შემდეგ ამხ. დენისოვი ამბობს, რომ რაც მეტი დრო გადის პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის ივნისის პლენუმიდან, მით უფრო სრულად ვლინდება შეთქმულთა და ფრაქციონერთა ჯგუფის — მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის საძაგელი და საზიზღარი საქმიანობის სურათი. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ გამთიშველებსა და ფრაქციონერებს ანტიპარტიული ჯგუფიდან სწორი დასკვნები გამოეტანოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან.

ორატორი ახასიათებს სარატოვის ოლქს, როგორც დიდ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს. მომავალ შვიდწლედში აქ კიდევ უფრო განვითარდება საწარმოო ძალები. მისი განხორციელება შესაძლებლობას მისცემს სარატოვის ეკონომიურ რაიონს გახდეს ქიმიური მრეწველობის დიდი ცენტრი. ფართოდ განვითარდება მანქანათმშენებლობა, მნიშვნელოვნად გადიდდება ნავთობის და გაზის მოპოვება, გადიდდება ელექტროენერგიის გამომუშავება. მაგალითად, 1965 წლისათვის ოლქის ქიმიური მრეწველობა პროდუქციის გამოშვებას 18-ჯერ გაადიდებს. შვიდწლედის ბოლოსათვის ქიმიური საწარმოები წელიწადში ისეთი რაოდენობით გამოუშვებენ სინთეზურ შალსა და ბამბეულს, რომლისგანაც შეიძლება შეიკეროს 10 მილიონი მამაკაცის კოსტიუმი, 45 მილიონი ქალის კაბა.

სარატოვის ოლქმა უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით 1958 წელს მნიშვნელოვნად გაადიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ვალდებულება 2-3 წელიწადში ხორცის წარმოება გადიდონ ოთხჯერ. დასახულია აგრეთვე გადიდდეს რძისა და მატყლის წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ეკონომიური რაიონის ენერგომომარაგება, ამხ. დენისოვს წინადადება შეაქვს აგებულ იქნას ელექტროგადამცემი ხაზი სტალინგრადის ჰესიდან სარატოვამდე. იგი აყენებს აგრეთვე ვოლგისპირეთის რკინიგზის ელექტროფიკაციის საკითხს.

საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს უძღვნის თავის სიტყვას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ხ. ფედოროვი.** იგი აღნიშნავს, რომ საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია დაჩქარებით განვითარდეს ინდუსტრიის ეს დარგი, რომლის წარმოების საერთო მოცულობა შვიდწლედის ბოლოსათვის თითქმის ერთისამად გადიდდება. მნიშვნელოვნად გაიზრდება მინერალური სასუქების გამოშვება, რაც დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის მშრომელებს უფრო სწრაფად განახორციელონ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების შესახებ.

უმაგალითოდ სწრაფი ტემპებით გაიზრდება სინთეზური მასალების წარმოება, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ამბობს ორატორი. ამ წარმოებაში დაბანდებულ ლობანი იქმნება, რომ მნიშვნელოვანდ დანაბარჯების გაუწევლად განხორციელდეს იმიერვოლგეთის 900 ათასი ჰექტარი გვალვიანი, მაგრამ ნაყოფიერი მიწის მორწყვა.

ტრიბუნაზეა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მიკოლა შაუი.** შესანიშნავი შვიდწლიანი გეგმა, ამბობს იგი, რომელსაც გმირი საბჭოთა ხალხი განახორციელებს, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი და უმაგალითო წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

გასულ წელს, განაგრძობს ამხ. შაუი, ჩვენი პარტია ღირსეულად მონაწილეობდა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლაში, იბრძოდა რა ბარიკადებზე მთელი ეროვნული ძალების წარმომადგენელთა მხარდამხარ. მან შეასრულა თავისი მოვალეობა ამერიკელი იმპერიალისტების ჯარებისადმი წინააღმდეგობაში, რომელნიც ლიბანში შემოიჭრნენ. პარტია მუშიდრად დაკავშირებულია ხალხის მასებთან და განაგრძობს ბრძოლას იმისათვის, რომ საბოლოოდ იხსნას თავისი ქვეყანა ეიზენჰაუერის დოქტრინისაგან, იმპერიალისტური დამოკიდებულებისაგან.

ლიბანელებს, ამბობს ამხ. შაუი, ყოველთვის მადლობით ეხსომებათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხმა მხარი დაუჭირა მათ ამერიკელთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ სამუდამოდ ეხსომებათ ოკუპანტების მომქმედების წინააღმდეგ მრისხანე პროტესტის ის გრანდიოზული დემონსტრაციები, რომლებიც გაიმართა საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში.

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **ალა ვოლფი.** ის გარკვევით, რომ ეს ყრილობა, ამბობს იგი, განიხილავს ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გეგმას, მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე და დემოკრატიულ უფლებებზე, ამტკიცებს სოციალიზმის სასიცოცხლო ძალის უპირატესობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა ზრდის სოციალიზმის მომზიდველ ძალას, შეაძლებელს ხდის სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩაბმულ იქნან მშრომელთა ახალი ფენები.

ამხ. ვოლფმა მოაგონა სხდომას, რომ ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ გადაჭრით დაგმო რევიზიონიზმი, აგრეთვე დოგმატიზმი და სექტანტობა. პარტია მუშიდრად შეკავშირებულია თავისა ცენტრალური კომიტეტის გარშემო მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. პარტიის რიცხობრივი შემადგენლობა ახლა უკვე მეტია, ვიდრე იყო რევიზიონისტული, პარტიისადმი მტრული ჯგუფის გამოსვლამდე.

დასასრულ ამხ. ვოლფმა წაიკითხა ნიდერლანდის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობასადმი.

კოლუმბიელი ხალხი, განაცხადა კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ჰილბერტო ვიეირამ, რომელიც შემდეგ გამოვიდა, გამსჭვალულია იმის რწმენით, რომ გმირი საბჭოთა ხალხი, რომელსაც გამოცდილი ლენინური პარტია წელიწადეულებს, წარმატებით შეასრულებს შვიდწლიან გეგმას. საბჭოთა კავშირის, კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვისაც.

ამხ. ვიეირამ შემდეგ თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინა XX ყრილობის დასკვნები, რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობას ეხება, სავსებით დადასტურდა კოლუმბიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კოლუმბიის ხალხმა დაამხო სამხედრო დიქტატურის რეაქციული რეჟიმი და დაადგა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების გზას, მიაღწია კომუნისტური პარტიის ლეგალურობას. ამჟამად კოლუმბიის ხალხი განაგრძობს თავის ბრძოლას, იკრებს ძალებს, იბრძვის ნამდვილი დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. დღითიდღე იზრდება იმ კოლუმბიელთა რიცხვი, რომელნიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

დილის სხდომა დამთავრდა კოლუმბიის წარმომადგენლის გამოსვლით.

ლებდა, რომ მთელი რიგი დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან გადაყვანილ იქნან მრეწველობის თავმოყრილ ადგილებში.

ჩვენი ქვეყანა, ამბობს დასასრულ ამხ. ფედოროვი, შეავდა კომუნისტური საზოგადოების გამლილი მშენებლობის პერიოდში, და საბჭოთა ხალხი — შემოქმედი ხალხი, რომელიც მუდიდრად დარაზმულია კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, განახორციელებს დიდ ამოცანებს, რომლებიც დგას კომუნიზმისაკენ მტკიცედ მიმავალი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. **პ. ფ. იუდინი** თავის სიტყვაში შეეხო თეორიულ დებულებებს, რომლებსაც შეიცავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ხოხსენება პარტიის XXI ყრილობაზე. ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენება, ამბობს ორატორი, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებაში.

უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა, აღნიშნავს ამხ. იუდინი, აქვს დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა საბოლოოდ და სავსებით გაიმარჯვა. პარტიის მტრები ცდილობდნენ უარეყოთ, რომ შესაძლებელია სოციალიზმი აშენდეს ერთ ქვეყანაში. ახლა ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია, რაც მოწმობს სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. მსოფლიოში ახლა არ მოიძებნება ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ ალადგინონ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, გაანადგურონ სოციალისტური ბანაკი. ხოხსენების დებულება კოლუმბიელ ხალხზე, განაცხადა ამხ. **ალ. ბ. ბატანოვი** (ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ამბავი იქნება ბოლივიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შეეცადა რა ბოლივიის ეროვნული მდგომარეობის ანალიზი, ამბობს, რომ **იმ უდიდესი** ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც XXI ყრილობამ დასახა და რომლებიც შეეხებიან ყველა ხალხის ინტერესებს, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, საერთო ღონისძიებებით თავიდან აეცილოთ ახალი ომი, შეეინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა. ჩვენს ქვეყანაში, განაგრძობს ამხ. ვოოგი, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება მიგვაჩნია ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. ჩვენი ბრძოლა მიმართულია გამალებული შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ მშართველი ბურჟუაზიული წრეები, უდიდესი, შეეცარიისთანა პატარა ქვეყნისათვის უაზარო, სრულიად ზედმეტი სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ, აგრეთვე ამის წინააღმდეგ, რომ აპირებენ შვეიცარიის არმია აღჭურონ ატომური იარაღით.

გამოთქვამს რა შვეიცარიის შრომის პარტიის სახელით მის დიდ სოლიდარობას ყრილობის დელეგატებთან, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომგზავნილებთან, ამხ. ვოოგი ამბობს:

ჩვენ გვაქვს საერთო პრინციპები, საერთო მიზანი და ერთი გზა. ჩვენი პრინციპებია მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, რომლებსაც არ გადავუხვევთ, ჩვენი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა და ბედნიერება.

ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელით გამოდის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **კრისტინ ანდერსონი.** ისლანდიის სოციალისტებს, აცხადებს იგი, უხარიათ, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ისლანდიის მეგობრობა, ვითარდება კულტურული და საგაჭრო ურთიერთობა. სწორედ სოციალისტურ მსოფლიო ბაზრათან, პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან, ფართო საგაჭრო ურთიერთობის მეოხებით ჩვენ მოვახერხეთ, ამბობს ორატორი, თითქმის სავსებით მოგვეგებინა უმუშევრობის ლიკვიდაცია ჩვენს ქვეყანაში.

ისლანდიელი ხალხი, განაგრძობს ამხ. ანდერსონი, არასოდეს არ დაიგიწყებს, რომ თავის ბრძოლაში თავეზერის თორმეტმილიანი ზონისათვის, რომელზეც დამოკიდებულია ხალხის მთელი ეკონომიური ცხოვრება, მან ჰპოვა საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერა, რომელმაც მტკიცედ განაცხადა, რომ სამართლიანად მიიჩნია ეს მოთხოვნა.

ისეთი პატარა ხალხის მთელი ცხოვრება, როგორიც ისლანდიელი ხალხია, აცხადებს ამხ. ანდერსონი, დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობაზე. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით დიდად ვაფასებთ იმ დიდ წვლილს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, როგორიც არის თქვენი შვიდწლიანი გეგმა.

XXI ყრილობის საუკეთესო სურვილები გადასცა ახალი ზელანდიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრმა ამხ. **უილფრიდ მაკარამ.**

ყოველივე ის, რაც ვნახეთ და გავიგონეთ თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს და თვით ყრილობა, ამბობს იგი, გვაღვფუნებს, რომ თქვენი გრანდიოზული გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება. კომუნიზმის მშენებლობის თქვენი გრანდიოზული გეგმების განხორციელება იმას გამოიწვევს, რომ საბჭოთა ხალხს ექნება ცხოვრების ღონე და შრომის პირობები, რომლებიც დღემდე უცნობია მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის და სრულიად მიუღწეველია ქვეყნებში, სადაც ჯერჯერობით კაპიტალიზმი ბატონობს. ამიტომ თქვენი გეგმები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ მუშათა კლასისათვის, კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

დასასრულ ამხ. უილფრიდ მაკარა საბჭოთა ხალხს ულოცავს გრანდიოზულ მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევებს, რომლებიც, როგორც იგი აცხადებს, მსოფლიოს ყველა ხალხს ინტერესსა და აღტაცებას იწვევენ.

ყრილობის საღამოს სხდომა დამთავრდა. თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას 5 თებერვლის დილის 10 საათამდე.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა. ხუროთმოძღვრ ჯგუფი დელეგატებისა საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში.

ფოტო ა. ბატანოვისა („საკდესის ფოტოქრონიკიდან").

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

5 თებერვლის სხდომა

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის 5 თებერვლის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. ფ. რ. კოზლოვის თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა განხილვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების“ შესახებ.

დელეგატები მაღალ შეფასებას აძლევენ მოხსენების თეორიულ დებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ ახალ წვლილს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის კონკრეტულ პროგრამას, რომელიც დასახულია მოხსენებაში. ორატორები ლაპარაკობენ საბჭოთა ხალხის ერთსულოვან მისწრაფებაზე აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის გრანდიოზულ წინასწარფასახულობათა განხორციელებაში, ლაპარაკობენ იმაზე, რომ კომუნისტები და ყველა მშრომელნი მზად არიან თავდადებულად იბრძოლონ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ორატორები მხურვალე დაინტერესებულობით გამოთქვამენ თავიანთ წინადადებებს, რომელთა მიზანია რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების შინაგეზრვები. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა აგრეთვე მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

სხდომაზე პირველი გამოდის ამხ. პ. ე. შელესტი (კიევის საოლქო პარტიული ორგანიზაცია). საბჭოთა ადამიანები და მთელი პროგრესული კაცობრიობა, ამბობს იგი, XXI ყრილობას სიამაყით უწოდებენ კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას.

მიმდინარე შვიდწლეულში გადაიდგმება გადამწყვეტი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის აღსრულებაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

დიდი ამოცანები უნდა გადაჭრან კიევის ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ და ყველა მშრომელმა 1959-1965 წლებში. ამხ. შელესტი აცხადებს, რომ საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდა ოლქში გათვალისწინებულია თითქმის 70 პროცენტით. განსაკუთრებით დიდად განვითარდება ხელსაწყოთმშენებლობა, რადიოტექნიკა და ელექტრონიკა, ქიმიური მრეწველობა. კიევისა და მისი ოლქის საწარმოებში დასახულია ათვისებულ იქნას 800 სახეობის ახალი მანქანები, ჩარხები და მექანიზმები, 280-ზე მეტი ხელსაწყო და საანგარიშო-ამოსახსნელი ხელსაწყო. ფართო გაქანება ენიჭება საბინაო მშენებლობას. მარტო ქალაქ კიევში შვიდწლედში აშენდება 4 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ოლქის საწარმოებში დაინერგება ახალი პროგრესული ტექნოლოგია, წარმოებს მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაცია და შეცვლა, სულ უფრო ახალი რეზერვების ძიება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. მაგრამ, აღნიშნავს ორატორი, მთელი რიგი ქიმიური საწარმოების დაპროექტებისას არ ითვალისწინებენ, რომ საჭიროა საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საპროექტო ორგანიზაციებმა, საკონსტრუქტორო ბიუროებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა გასაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საკითხების დამუშავების დაჩქარებას. ამხ. შელესტს აგრეთვე მიაჩნია, რომ კიევში უნდა შეიქმნას ნახევარგამტარების ნაკეთობათა საწარმო.

გამოსვლაში დაწვრილებით იყო დახასიათებული კიევის ოლქის სოფლის მეურნეობის წარმატებანი უკანასკნელ ხუთ წელიწადში. კერძოდ, შარშან ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 226 ცენტნერი რძე და 28 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით. სახელმწიფოს მიეყიდა მეცხოველეობის თითქმის სამჯერ მეტი პროდუქტები, ვიდრე 1953 წელს.

ითვალისწინებენ რა თავიანთ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მიაჩნიათ, რომ ოლქს აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ხუთ წელიწადში შეასრულოს შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ხორცისა და რძის წარმოების დარგში, — მაბამს ამხ. შელესტი. დელეგატები და სტუმრები ტაშით ხვდებიან ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ კიევის ოლქის კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს განზრახავთ აქვთ უკვე 1963 წელს მიიღონ 110 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით და 700 ცენტნერი რძე ას ჰექტარ სავარგულებზე.

ომსკის ოლქი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეების, შესანიშნავი ნაყოფიერი მიწების, მძლავრი ინდუსტრიის მხარეა. მან განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია სკკპ XX ყრილობის შემდეგ, — ამბობს ამხ. ე. პ. კოლუშჩინსკი (ომსკის საოლქო პარტიული ორგანიზაცია). მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი გახდა ქალაქი ომსკი, ხოლო ოლქი—მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მძლავრი მიმწოდებელი.

დაახასიათა რა ოლქის მეურნეობის განვითარება უკანასკნელ წლებში, ამხ. კოლუშჩინსკიმ განაცხადა, რომ შვიდწლედის მანძილზე ოლქის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გადიდდება 2,3-ჯერ. კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში ამ ხნის მანძილზე გადააჭარბებს 15 მილიარდ მანეთს. განსაკუთრებით განვითარდება ენერგეტიკული, ნავთობის, ქიმიური, მანქანათმშენებლო და კვების მრეწველობა, მწყობრში ჩადგება 50 მსხვილი საწარმო.

ითვისა რა ერთ მილიონზე მეტი ჰექტარი ყამირი მიწები, განაგრძო ორატორმა, ოლქი გახდა „ პურისა“ და მეცხოველეობის პროდუქტების დიდი მიმწოდებელი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სწრაფ ზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სიმინდს, რომელიც უკვე საკვები ბაზის საფუძველია. გამმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. სასოფლო-სამეურნეო არტელების ფულადი შემოსავალი 1958 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 3,5-ჯერ, ხოლო განუყოფელი ფონდები გაიზარდა თითქმის სამჯერ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგებულია ათასობით საწარმოო შენობა, ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა.

შემდეგ ამხ. კოლუშჩინსკი ეხება პარტიული ორგანოების მუშაობის მეთოდების გარდაქმნას. ახლა თავიანი დროის მეტ ნაწილს პარტიული მუშაკები ატარებენ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც უშუალოდ ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას. უფრო სისხლსავსე გახდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გაბარდა მათი ავტორიტეტი და პრძოლისუნარიანობა, გაძლიერდა კომუნისტების ავანგარდული როლი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სასოფლო რაიონებში პარტიაში მიღებულია რვა ათასამდე კაცი.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდის მკაფიო დამადასტურებელია ის, რომ ისინი სახავენ წარმოების ზრდის გადიდებულ გეგმებს და მათი განხორციელების ტემპების დაჩქარებას. ოლქში გადაწყვეტეს მარცვლეულის წარმოების შვიდწლიანი დავალების შესრულების მიაღწიონ სამ-ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო ხორცის წარმოებისა — სამი წლის განმავლობაში. ხორცის ჩაბარება და გაყიდვა მიმდინარე წელს გადაწყვეტილია ერთიორად გადიდდეს შარმანდელთან შედარებით. ამ ამოცანის შესასრულებლად, კერძოდ, უნდა გავზარდოთ ათობით მილიონი სული მცურავი ფრინველი.

შემოქმედებითი ძალებით და შემარეთებით აღსავსენი, დასასკვნის ორატორი, შევიდნენ საბჭოთა ადამიანები შვიდწლედის პირველ წელიწადში და პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ და განუხრელად მიდიან სანუკვარი მიზნისაკენ— კომუნიზმისაკენ.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამხ. კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, რომელიც შეეხო ეკონომიური მეცნიერების ამოცანებს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამ მეცნიერების როლი სულ უფრო და უფრო იზრდება კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ ჩვენი წინსვლის მიხედვით, ამბობს იგი. გრანდიოზული ამოცანების გადაჭრა მოითხოვს მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერული დონის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნები, რომლებსაც პარტია და სოციალისტური სახელმწიფო უყენებენ ეკონომიური მეცნიერების მოღვაწეებს ეკონომიური მშენებლობის პრობლემათა თეორიული განზოგადებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის კვლევის შედეგების გამოყენების დარგში.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ, განაგრძობს ორატორი, გარკვეული წარმატებებია მიღწეული უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ მუშაკთა და მასწავლებელთა საქმიანობაში. მოეწყო მთელი რიგი დისკუსიები საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტიალურ საკითხებზე, გადიდდა გამოშვებული შრომების რაოდენობა, გაძლიერდა ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მთელი რიგი მეცნიერები მონაწილეობას იღებდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მომზადებაში. მაგრამ ამხ. ოსტროვიტიანოვი აღიარებს, რომ სწორია ყრილობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ეკონომიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლეს სასწავლებელთა ეკონომიური კათედრების მიმართ, რომელთა საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ეკონომიურ საკითხებზე მონოგრაფიებს, ბროშურებსა და სტატიებს შორის ჯერჯერობით ფოტაა ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ რეალური დახმარება გაუწიონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ეკონომიკის ინსტიტუტისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწყობილი დისკუსიების არსებითი ნაკლია ის, რომ ისინი მეტწილ შემთხვევებში არ მიუყვანიათ კონკრეტულ დასკვნებამდე, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა პრაქტიკულად. განსაკუთრებით სუსტია მდგომარეობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხების დამუშავების მხრივ.

იმისათვის, რომ ეკონომიურმა მეცნიერებამ წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანები, საჭიროა, როგორც ორატორი აღნიშნავს, გამოინახოს პრაქტიკასთან მისი კავშირის უფრო ეფექტიანი ფორმები, რათა ეს კავშირი ამდიდრებდეს და წინ სწევდეს ეკონომიურ თეორიას, ხოლო ეკონომიური თეორიული მუშაობა ეხმარებოდეს კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკას. საჭიროა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და სხვა ეკონომიური ინსტიტუტების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების კათედრების უმჭიდროესი კავშირი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სამინისტროებთან, სახალხო მეურნეობის საბჭოებთან და განსაკუთრებით სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან.

თავისი სიტყვის მეტი ნაწილი ამხ. ოსტროვიტიანოვმა მიუძღვნა სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის პრობლემას კომუნიზმის უმაღლეს სტადიაში გადასვლის პერიოდში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ღირებულების კანონის გამოყენებას ამ პერიოდში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საკითხთა გადაჭრაში, ფასების დაგეგმვის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების შემუშავების დროს და სხვ.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, თქვა დასასრულ ამხ. ნ. ოსტროვიტიანოვმა, უფროთეს პერსპექტივებს უსახავს მეცნიერული შემოქმედებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა მუშაკს, რომლებიც ენთუზიაზმით შეხვდნენ დიად სამუშაოთა ამ პროგრამას. საბჭოთა მეცნიერთათვის არ არის და არც შეიძლება იყოს უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ თავიანთი შრომით და შემოქმედებითი აზრით მონაწილეობდნენ კომუნიზმის მშენებლობაში.

სიტყვა ეძლევა ამხ. ს. ზ. ბორისოვს (იაკუტიის პარტიული ორგანიზაცია). იაკუტიის მშრომელები, ამბობს იგი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს და თეზისებში დასახული ამოცანები მიიღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის პროგრამად.

ორატორი ლაპარაკობს რესპუბლიკის სწრაფ განვითარებაზე. მრეწველობის პროდუქცია რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით გადიდდა თითქმის 50-ჯერ. იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მტკიცდება კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გადიდდა პირუტყვის სულადობა, რძის წარმოება უკანასკნელ ხუთ წელიწადში გაიზარდა ერთიორად და მეტად, ხორცის წარმოება ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გადიდდა 60 პროცენტით და მეტად.

შეეხო რა მიღწევებს კულტურის დარგში, ორატორი ამბობს, რომ რესპუბლიკაში ახლა არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 600-ზე მეტი საშუალო სპეციალური სასწავლებელი და ზოგადსაგანმათლებლო სკოლა. იაკუტიაში რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენდნენ მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს. ახლა 10 ათას მეხოვრებზე მოდის უმაღლესი სასწავლებლის 47 სტუდენტი, მაშინ როცა ამავე რაოდენობის მოსახლეობაზე მოდის საფრანგეთში — 39, დასავლეთ გერმანიაში — 29 სტუდენტი.

სოციალისტური იაკუტია, განაგრძობს ამხ. ბორისოვი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხარეა. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციასა და მშრომელებს წილად ხვდებათ მისი წიაღის სიმდიდრეთა შემდგომი ათვისების, კომუნისტური მშენებლობის სამსახურში ზღაპრულ სიმდიდრეთა უსწრაფესად ჩაყენების დიდი და საპატიო ამოცანა. ვითვალისწინებთ რა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას ალმასზე, გადავწყვიტეთ გავადიდოთ მისი მოპოვება რესპუბლიკაში შვიდწლედის დამლევისათვის 20-ჯერ 1958 წლის მოპოვების დონესთან შედარებით დამატებით კაპიტალურ დაბანდებათა გაუწევლად.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობა რესპუბლიკაში, აცხადებს ორატორი, უნდა გადიდდეს 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 2,6-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდება ასიგნობანი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისათვის, გათვალისწინებულია მთელი რიგი დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა. საცხოვრებელი ფართობის საშუალო წლიური საექსპლოატაციოდ გადაცემა 1958 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 2,5-ჯერ. დიდი შესაძლებლობანია იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს შვიდწლედის დავალებანი სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის დარგში.

ამხ. ბორისოვი თავის გამოსვლაში შემდეგ იმას შეეხო, რომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კოქსგადი ქვანახშირის სამხრეთ იაკუტიაში ტაიშეტის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის, შევიტანოთ შვიდწლიან გეგმაში რკინიგზის მშენებლობა ტრანსციმბირის რკინიგზის მაგისტრალიდან მომავალ ახალ მეტალურგიულ რაიონამდე. სამხრეთ იაკუტიაში კოქსვადი ქვანახშირის უდიდესი მარაგის არსებობა განსაკუთრებით ძვირფასია ციმბირის მეტალურგიისათვის.

აკადემიკოსმა ვ. ბ. მიტინმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცების საკითხებს. უკანასკნელ ხუთ წელიწადში, — ამბობს იგი, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და მისი აპარატის გაუმჯობესების დარგში განხორციელებულია უდიდესი მუშაობა. ამ მუშაობამ მოიცვა პრობლემების დიდი დიაპაზონი — სოციალისტური კანონიერების განმტკიცება და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა ყოველი ღონისძიებით გაფართოება, დემოკრატიული ცენტრალიზმის შემდგომი გაღრმავება სახელმწიფო საქმიანობის ყველა რგოლში, ახალი კანონმდებლობის შემუშავება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებზე და სხვ. მთელი ეს პრაქტიკული საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომ გამდიდრებასა და განვითარებას.

აკადემიკოსი შემდეგ ამბობს, რომ პარტიამ დაამუშავა ისეთი საკითხები, როგორიც არის: საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მზარდი მნიშვნელობა და როლი კომუნიზმის მშენებლობაში და ამავე დროს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა განმტკიცება, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მასობრივი ბაზის კოლოსალური გაფართოება და მთელი ხალხის ჩაბმა სახელმწიფო საქმეების მართვაში აქტიური მონაწილეობისათვის; საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული და აღმზრდელობითი ფუნქციის მზარდი მნიშვნელობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ფუნქციის წარმოშობა და განვითარება სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის დარგში; შემდგომ დამუშავდა საკითხი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა კავშირის სარეფერენდუმისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის, ეროვნული სუვერენიტეტის ჰარმონიული შეხამების შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ჯერ არასოდეს არა გვქონია მასების ისეთი ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში, როგორც ახლა. პარტიის ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა, მაქსიმალურად ავითარებენ მასების ინიციატივას და იძლევიან უდიდეს შედეგებს.

ლენინმა აღმოაჩინა ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება, განაგრძობს ორატორი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი წინსვლა და ამ წინსვლის შედეგები ისტორიულ პროცესში მასების მონაწილეობის პირდაპირ პროპორციულია. განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს ეს კანონზომიერება ახლა, სოციალიზმის პირობებში. შვიდწლიანი გეგმის სწრაფი ტემპი მასების ამ აქტივობის პირდაპირი გამოხატულებაა. პირველად მსოფლიო ისტორიაში, ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის პირობებში, სადაც 200 მილიონზე მეტი კაცია, ხორციელდება სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისათვის მთელი მოზრდილი მოსახლეობის ჩაბმის ამოცანა.

დასასრულ ამხ. მიტინი აცხადებს, რომ იმ წლებში, რომლებიც სკკპ XX ყრილობის შემდეგ გავიდა, გამოცოცხლდა მეცნიერული აზრი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგშიც. ვძლევთ დოგმატიზმს, იზრდებიან ახალგაზრდა მეცნიერული კადრები. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იცემა ფილოსოფიური ნაშრომები. გამოიცა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელობები. საბჭოთა ფილოსოფოსების დიდი ჯგუფი ამზადებს კოლექტიურ ხუთტომიან „ფილოსოფიის ისტორიას“. პირველად ეწევიან ცდას შეიქმნას ფილოსოფიის მსოფლიო ისტორია მარქსისტულ-ლენინური გაგებით.

აკადემიკოს ვ. ბ. მიტინის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ კამათში მონაწილეობისათვის ჩაეწერა 171 კაცი, გამოვიდა 86 დელეგატი. შემოსულია წინადადება შეწყდეს კამათი. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ.

დამთავრდა განხილვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ.

მოკლე შესვენების შემდეგ სხდომა გრძელდება ამხ. დ. ს. პოლიანსკის თავმჯდომარეობით. საბოლოო სიტყვას ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად ხვდებიან.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს მხურვალე ტაშით.

ყრილობა გადადის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო რეზოლუციის განხილვასა და მიღებაზე და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების დამტკიცებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის დავალებით ამხ. მ. ა. სუსლოვი ყრილობას მოახსენებს რეზოლუციის პროექტისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების პროექტის დაზუსტებისა და დამატების. ორივე დოკუმენტს კენჭს უყრიან.

ყრილობა ერთხმად იღებს რეზოლუციას ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

აგრეთვე ერთხმად ამტკიცებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს.

თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ სკკპ წესდების თანახმად, პარტიის მორიგი XXII ყრილობა უნდა გაიმართოს 1960 წელს. ყრილობის პრეზიდიუმის სახელით მას წინადადება შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა მოწვეულ იქნას 1961 წელს.

ყრილობა ერთხმად იღებს დადგენილებას მოწვეულ იქნას სკკპ მორიგი XXII ყრილობა 1961 წელს.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ XXI ყრილობის სახელზე შემოვიდა აპელაციები გადაწყვეტილებებზე პარტიიდან გარიცხვის, პარტიული სასჯელის დადებისა და სხვა პერსონალური პარტიული საკითხების შესახებ.

ყრილობა ავალებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყოს ამ აპელაციების განხილვა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ დღის წესრიგი ამოწურულია, გადაწყვეტილებანი მიღებულია. იგი აცხადებს, რომ სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელსაც პარტიამ და ხალხმა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა უწოდა, დახურულია. დარბაზში იმართება ოვაცია. დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. შემდეგ კვლავ გრიალებს ოვაცია, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს კომუნიზმს“. (საკვლევი).

რუსეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი XXI ყრილობის დელეგატებისათვის

„ვერცხლისფერი ფანფარების ხმა და ბავშვთა წკრიალა ხმები სიმფონიური ორკესტრის ფონზე. ნათელი და მხიარული მელოდია, რომელშიც ჟღერს მშვენიერი ბანი, ოცნებები, შესანიშნავი, სულ ახლო მომავლის რწმენა. დ. კაბალევსკის კანტატი „ლენინელები“ (ე. დოლმატოვსკის სიტყვები) დაიწყო რუსეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

მოსკოველებმა ეს კანტატა პირველად მოისმინეს პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღეს. 4 თებერვალს კრემლის თეატრში იგი შეასრულეს მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრმა, სსრ კავშირის აკადემიურმა რუსულმა გუნდმა, ბიჭების გუნდმა (დირიჟორი ნ. რახლინი). და შესაძლებელია ყველაზე მკაფიოდ ჟღერს ამ სიმღერაში რუსი ადამიანების გმირობის, პარტიისადმი, სამშობლოსადმი, რუსეთისადმი მათი სიყვარულის თემა.

რუსეთი... მას მიუძღვნეს დღეს კონცერტის მონაწილეებმა თავიანთი მუსიკა, თავიანთი სმღერები — ლაღი, როგორც მისი მინდვრების სივრცეები, ცეკვები, რომლებითაც განცვიფრებულია მთელი მსოფლიო.

ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ამ საღამოს, მოისმინეს და ნახეს კოლექტივები, რომლებსაც ყველგან იცნობენ — სსრ კავშირის ხალხური ეკვეის სახელმწიფო ანსამბლი ი. მოისეევის ხელმძღვანელობით და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა რიაზანის რუსული ხალხური გუნდი (ხელმძღვანელი ე. პოპოვი), მეორეკლასელი ტანია რიუმინა, რომელიც როიალზე ასრულებს ა. ლიადოვის „მუსიკალურ სათუთუნეს“, და ლენინური პრემიის ლაურეატი ა. ტოლუბეევი.

ლენინგრადელებმა და მოსკოველებმა, რიაზანელმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა, რომელთათვისაც განუყოფელია შრომა და სიმღერა, კვლავ ცხადყვეს აქ თავიანთი ბრწყინვალე ნიჭი.

ძნელი სათქმელია, რით მოხიბლა ასე მსმენელი თამარ სტრელკოვამ. მაგრამ ისეთი გულითადი, ისე ნაზია მისი ხმა, ისე გულწრფელია იგი, რომ უნებურად გატყვევებს მომღერლის მომხიბვლელობა.

ყველამ, ვინც მოიტანა დღეს თავისი შესანიშნავი ხელოვნება კრემლის თეატრის სცენაზე. — მსახიობმა ა. გონჩაროვამ, რომელიც კითხულობდა მაიაკოვსკის ლექსს პარტიაზე, ვ. ჩესნოკოვამ, ი. მალიუტინმა, ბ. ფოკეევმა, ა. შესტაკოვმა, ა. ორლოვამ, ლ. შლენცევამ — ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობებმა, რომლებმაც შეასრულეს სცენა ა. კაპლერის პიესიდან „ქარიშხლიანი წელი“, ვ. მაკსიმოვამ, რომელმაც იმღერა ალიაბიევკის „ბულბული“, და სხვებმა — ყველა მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს რუსეთის ტალანტების დაუშრეტელი სიმდიდრე.

კონცერტს, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა, დაესწრნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ვ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ხ. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. შვაგანაძე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ხ. პოლიანსკი, აგრეთვე უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა წევრები. (საკვლევი).

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციამ საჩუქარი გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

1959 წლის 4 თებერვალს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაცია, რომელიც ესწრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას და რომელშიც შედიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იანოშ კადარი, აგრეთვე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები ანტალ აპრო და ენე ფოკი, ეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჩუქარი — მხატვრული გობელენი, რომელიც დამზადებულია ახალგაზრდა უნგრელ მხატვართა კოლექტივის მიერ. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა უნგრელ ამხანაგებს საჩუქრისათვის.

საჩუქრის გადაცემას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საპასუხო ვიზიტი სსრ კავშირში

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს დიდ ბრიტანეთში 1956 წლის აპრილში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის გადაეცა მოწვევა საპასუხო ვიზიტი გაეკეთებინა საბჭოთა კავშირში მისთვის მოსახერხებელ დროს. ეს მოწვევა მიდებული იყო, მაგრამ ჩამოსვლის თარიღის საკითხი ღია რჩებოდა.

ბ-ნმა მაკმილანმა აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ საპასუხო ვიზიტისათვის ამეამად, მისი აზრით, შესაფერისი დროა. შესაბამისად მან წამოაყენა წინადადება ჩამოვიდეს 7-10 დღით, დაწყებული 21 თებერვლით. საბჭოთა მთავრობა მიესალმა ამ წინადადებას და დაათანხმა მას. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ახლდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი სელვინ ლოიდი.

ქარხნის საზეიმო გახსნა გჰილაიში

გჰილაი, 4 თებერვალი. (საკადესის კორ). დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გაიმართა მეტალურგიული ქარხნის ოფიციალური გახსნა. გახსნის ცერემონიაზე შეიკრიბა ათიათასობით ადამიანი: ინდოელი და საბჭოთა მემონტაჟეები, ექსპლოატაციის დარგის მუშაკები, რომლებმაც ამდენი ძალღონე მოახმარეს ამ თანამედროვე ქარხნის აგებას, მათი ოჯახის წევრები